№ 2939
ოთხშაბათი,
2 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2939
ოთხშაბათი,
2 ნოემბერი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს"
გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ,
სახლი მანთაშევისა.
არის

დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.

მ. და ი. მანდლ

მოიპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს „ექსელანს"-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.

საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად

„ექსელანსის" მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს. (50—6.—17)

№ 4 **ქართული წარმოდგენა სახაზინო თეატრში** № 4
ხუთშაბათს, 3 ნოემბერს 1905 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პი
ცხოვრების გარეშე
დრამა 4 მოქმ. პროტოპოპოვისა, თარგ. შველიძის მიერ.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი გაბუნია ცაგარლისა დ. ივანიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ლეჟავა; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გუნია, შ. დადიანი, ს. სვიმონიძე, ზ. საფაროვი, კ. ყიფიანი, კ. შათირიშვილი, დ. ჩარკვიანი.
წარმოდგენა დაიწყება საღამოს 8 საათზედ
ადგილების ფასი დაკლებულია შეგირდებისათვის ადგილები ლოჟებში 40 კაპ.
მზადდება წარმოსადგენად: „ახალი ძალა" „სულით ობოლნი", „თანაბარი სისწორე".

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.
მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
მ. გ. ალაჯანოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობანი.
ა. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—18)

ექიმი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—18)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილ. 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა, სახლი სვანიშვილისა № 15

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი
გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთეს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათამდე. (თვ.—80—24)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კროვატი.

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მურადოვი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან-11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—17)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს იღებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

მედიცინის დოქტორმა
გ. ი. გურგენოვმა,
შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროტს., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ. (თვ.—406—8)

ექიმი
მ. პ. გეზირგანოვი
სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7½ საათ. (თვ.—4)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ.)

ექიმი
პ. ა. არდაზიანი
იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილის 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (16—024—3)

ტფილისი, 2 ნოემბერი.

ჯერ ორი კვირაც არ გასულა თავისუფლების მანიფესტის გამოცხადებიდან, ჯერ რუსეთის ყველა ქვეშევრდომს არც-კი შეუტყვია ახალის „რეჟიმის" შემოღება, და გრაფ ვიტტეს მმართველობამ უკვე წიხლი ჰკრა, უკვე დათრგუნა ახალი პრინციპი რუსეთის სახელმწიფოებრივ ცხოვრებისა. მონურ მმართველობას ჩვეულმა ვიტტემ საყოველთაო გაფიცვის დროს, როდესაც უცხოეთის კაპიტალისტებმა რუსეთს გადაჭრით განუცხადეს, არაფერს პროცენტს არ დავხარბდებით და, ვიდრე შინაური მშვიდობიანობა არ დამყარდება, სესხს ვერ მოგცემთო,—ამ დროს ვიტტემ საკმაო პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა და მოახსენა ხელმწიფეს, ძირიან-ფესვიანად უნდა შეიცვალოს მართვა-გამგეობა და გამტკიცდეს სამოქალაქო თავისუფლების პრინციპიო.

თავისუფლების მანიფესტმა გასჭრა, საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა დაამარცხა და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება რამდენადმე ნორმალურს კალაპოტში ჩააგდო. ხალხის ცხოვრებისაგან გარიყულმა და ბიუროკრატიულ სისტემის უარმყოფელმა გრაფმა ვიტტემ „ენერგიულად" იწყო საზოგადოების მოწოდება თანაგრძნობისა და დახმარებისადმი და აი სწორედ აქ დაიწყო იმის ახალ კარიერის განსაცდელი. საზოგადოებრივ მნიშვნელობის წრეებმა, ნახევრად ლეგალურმა და არა ლეგალურმა პარტიებმა ახალ მინისტრ-პრეზიდენტს მხარი არ დაუჭირეს, რადგან ის იმათის წრისა არ იყო არც წარსულით და არც მომავლით, ბიუროკრატია-კი პირდაპირ მტრულად მოეკიდა, რადგან თავისუფლების პრინციპი პირველ ყოვლისა ბიუროკრატიის წინააღმდეგობას და გაუქმებას მოასწავებდა. ამგვარად გრაფი ვიტტე მარტოდ-მარტო დარჩა უზარმაზარ რუსეთის მმართველად, რომელიც მედგრად შეუდგა თავისუფლების განხორციელებას.

საზოგადოებრივ ცხოვრებისაგან მოწყვეტილმა ვიტტეს მმართველობამ ნათლად დაინახა ის საშინელი ჭეშმარიტება, რომ თავისუფალ ხალხს აუცილებლად თავისუფლად არჩეული მმართველობა უნდა ჰყავდეს, რომ ამ მმართველობას რეალურ ცხოვრების კალოზე აღზრდილნი უნდა შეადგენდნენ და არა კარისკაცნი, რომელთაც შეიძლება მეტად დიდი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობაც ჰქონდეთ, მაგრამ ხალხის ნდობა-კი მაინც არ ექნებათ.

გრაფ ვიტტეს მმართველობა და რუსეთის ხალხთა თავისუფლება მხოლოდ თავისუფლების მანიფესტის გამოცხადების დღეს იყვნენ ერთმანერთთან შეთანხმებული. ორი სხვა და სხვა ისტორიულ ფორმაციის მომენტი მხოლოდ შემთხვევით შეიყარნენ ერთად ერთს წუთს, მაგრამ შემთხვევითი კავშირი საჩქაროდ დაირღვა და გამოირკვა ხალხისთვის, რომ გრაფ ვიტტეს მმართველობა—ხალხის მმართველობა არ არის, და თვით გრაფ ვიტტესთვის, რომ იმისი მისწრაფება „წესიერებისადმი"—ხალხის მისწრაფება არ არის.

ამ განხეთქილების გამორკვევას აუცილებლად რეალური ნაყოფი უნდა გამოეღო, აუცილებლად კონკრეტულად უნდა გამოხატულიყო და აკი კიდეც გამოიხატა ჯერ რბილად და ოდნავ (კრებების აკრძალვა) და შემდეგ, 30 ოქტომბერს, მკვახედ და მძლავრად პოლონეთის გამონაწილებით პოლონელებმა, როგორც რუსეთის უფრო განათლებულმა და კულტურულმა ნაწილმა, სხვებზე მეტად გამოიყენეს 17 ოქტომბრის მანიფესტის თავისუფლება. არსად რუსეთში ისეთი ხალხმრავალი და მწყობრი მიტინგები არ გამართულა, როგორც პოლონეთში, არსად ხალხს ისეთი ერთსულოვანება და პოლიტიკური სოლიდარობა არ გამოუჩენია, როგორც პოლონეთში. პოლონელები, დიდი თუ პატარა, მდიდარი თუ ღარიბი ერთხმივ თხოულობენ საკუთარს ავტონომიურ დემოკრატიულს სეიმს თავის შინაურ საქმეების მოსაწყობად. აი სწორედ ეს მიტინგები ეჩვენა გრაფ ვიტტეს მმართველობას სახიფათოდ, თუმცა თავისუფლება ყოვლის უწინარეს მიტინგების გამართვაში გამოიხატება, და, მოაგონა რა პოლონელებს 1863 წლის სისხლის ღვრა, უბრძანა პოლონელებს, ხელი აიღონ რეალურად თავისუფლებაზე, ხოლო ვიდრე ეს მოხდებოდეს, სრულიად წაართვა მათ „შეურყეველი საფუძველნი" სამოქალაქო თავისუფლებისა და სამაგიეროდ გაამეფა იქ სამხედრო დროის წესები.

პოლონეთის ამბავი პირველი გაბედული ნაბიჯია გრ. ვიტტეს მმართველობისა 17 ოქტომბრის მანიფესტის გაუქმებისაკენ, რომელსაც, ალბად, მალე სხვებიც მოჰყვება. უეჭველია, ვინც 17 ოქტომბრის თავისუფლებას ბრძოლით დაპყრობილად სთვლის და არა ნაწყალობევად, იმას 30 ოქტომბრის განკარგულება იმედს ვერ დაუკარგავს, იგი მხოლოდ ენერგიას და ძალას გაუძლიერებს.

მთავრობის გულწრფელობა

ამას წინად ვწერდით, რომ სიტყვითი გულწრფელობა არ არის გულწრფელობა საქმითი სიტყვა, მერე ისიც ეხლანდელ მთავრობისა, არ არის გარანტია საქმისა. ჩვენ ვშიშობდით, რომ ბრძანებით მოცემული „შეურყეველი საფუძველნი მოქალაქობრივ თავისუფლებისა" ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება წაგვერთვას ბრძანებითვე. დღეს ხელთ გვიჭირავს უტყუარი საბუთი ჩვენის სიმართლისა. მთავრობა მუქარით უცხადებს პოლონეთს, რომ სანამ იგი არ დაშოშმინდება, არ დაწყნარდება, მანამ არ ეღირსება არც ერთ სიკეთეს, 17 ოქტომბრის მანიფესტით აღთქმულს.

ჩაუკვირდით ამ სიტყვებს, გადახედეთ პირბადე და დაინახავთ, რომ იგი ნათქვამია ძველ ბიუროკრატიულ რეჟიმისაგან, იგი დამახასიათებელია მთავრობის „შეუცვლელ სურვილისა" მიანიჭოს ხალხს მოქალაქობრივი თავისუფლება. ვიტტეს, რომელიც ეხლა მთავრობის მესვეურია, და მის ამხანაგებს გულუბრყვილოდ ჰგონიათ, რომ მოქალაქობრივი უფლებანი, რომელნიც ვითომ მიენიჭა რუსეთის მცხოვრებთ, ნაბოძებია სამადლოთ მძლავრ მთავრობის მიერ, მდგომარეობის ბატონის მიერ. იმათ სრულიად ავიწყდებათ, რომ თავისუფლება ძალით არის გამოგლეჯილი მათის ბრჭყალებისგან, რომელთაც გამოგლეჯის დროს დაფლითეს და დაამახინჯეს ძვირფასი საუნჯე, ხალხის სისხლით შეღებილი. იმათ ავიწყდებათ, რომ ერთხელ ბრძოლით აღებულ თავისუფლებას აგრე ადვილად ველარ წაართმევენ ხალხს ვიტტეები. იმათ ავიწყდებათ, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტი მხოლოდ გამომხატველია და მაჩვენებელი მთავრობის დამარცხებისა. იმათ ავიწყდებათ, რომ დღეს ნამდვილი ბატონი მდგომარეობისა არის ხალხი და არა მთავრობა.

ავიწყდება ყველა ეს ვიტტეს და მის ამხანაგებს და ძველებურად თავისებურად ეპყრობიან ხალხის მოძრაობას, აზვირთებულ ცხოვრების მოვლენათ. დაინახეს, რომ ხალხმა „გადაამეტა", არ დაკმაყოფილდა იმითი, რაც ამ ხანად მოასწრო და გამოჰგლიჯა ხელიდან მთავრობას, და ძველებურ, გამოცდილ სისტემას მიმართეს: „ძალით განდომინებ; რაც მე მსურს, ის უნდა მიიღო; წინააღმდეგ, ურჩობა ძვირად დაგიჯდება, ნახავ თოფ-წამლის გემოს. აი ერთად ერთი პასუხი ბიუროკრატიულ მთავრობისა ხალხის მოთხოვნილებაზე.

ცხადია, რომ ზევითა ფარდებში არაფერი არ შეცვლილა. ყველაფერი ძველებურად დარჩენილა, მხოლოდ, ქარიშხალს ცხოვრების გემი ცოტაოდნად წინად გაკვეთილ გზისთვის უცვლებია.

მოქალაქობრივი თავისუფლება, რომელიც შეადგენს კანონებრივ სახელმწიფოს საფუძველს, მოითხოვს ბიუროკრატიულ მსოფლ-მხედველობის ძირითად შეცვლას. უამისოდ მოქალაქობრივი თავისუფლება ფუჭი, ლიტონი სიტყვაა. მართლაც, განა შესაძლებელია ცეცხლი და წყალი შეთანხმდნენ, ერთმა მეორე არ გააქროს? შეუძლებელია, წარმოუდგენელია, აგრეთვე შეუძლებელია ბიუროკრატიული მსოფლმხედველობა ეხლანდელ უმაღლეს მთავრობისა გვერდით უდგეს მოქალაქობრივ თავისუფლებას. ერთი მეორის უარის მყოფია. რუსეთის უმაღლესი მთავრობა სხვაფრივ მსჯელობს. მისთვის მოქალაქობრივი თავისუფლება ადვილი შესათანხმებელია ბიუროკრატიულ მსოფლ-მხედველობათან.

აი დაინახეთ. მოქალაქობრივი თავისუფლება, ჩვენის შეხედულებით, ავალებს მთავრობას, რომ იგი ბატონი კი არა, ყმა იყოს ხალხისა. მოქალაქობრივი თავისუფლება ავალებს მთავრობას გულმოდგინედ ადევნოს თვალ-ყური მოქალაქეთა უმრავლესობის სურვილს და მისდა მიხედვით იმოქმედოს. მოქალაქობრივი თავისუფლება ავალებს მთავრობას თვისი ნება დაუმორჩილოს ხალხის ნებას, ერთის სიტყვით, მოქალაქობრივი თავისუფლება ავალებს მთავრობას, რომ იგი ერთგული მოსამსახურე იყოს ხალხისა.

ჩვენ კი რას ვხედავთ? რუსეთის მთავრობა სრულიად წინააღმდეგს ფიქრობს. მთავრობა ყოველთვის ბატონია. ხალხის სურვილი მხოლოდ დაუმუშავებელი მასალაა მთავრობისთვის. მთავრობა თავისუფალია თავისებურად დაიმუშავოს ეს მასალა და იმ სახით გადასცეს ხალხს. მთავრობამ ყოველთვის უფრო კარგად იცის ხალხზედ რა მასალა უფრო სადღეისოა და სასარგებლო იმისთვის და ამიტომ მორჩილება და ნდობა სჭირია. მთავრობის მოვალეობაა ძალით ახმარებინოს ის მასალა, რომელიც მან დაინახა დღეისთვის საუკეთესოდ. ასე მსჯელობს რუსის მთავრობა და თავის მოქმედებას უფარდებს თავის მსჯელობას. მას სურს ძალით დააჯეროს ხალხი იმას, რაც 17 ოქტომბერს აღუთქვა.

სწორედ ამ ძალ-დატანებაში იმალება იქვი მთავრობის გულწრფელობისა, სწორედ ეს ძალდატანება გვაშინებს და იმიტომ ვამბობთ, რომ მთავრობა დღეს გვპირდება მოქალაქობრივ თავისუფლებას და ხვალ-კი უკან წაიღებს თავის დაპირებას. მთავრობას ვერ შეუგნია, ან უკეთ რომ ვსთქვათ, არა სურს შეიგნოს, რომ განმათავისუფლებელ მოძრაობის დაწყნარება და დამშვიდება შეუძლებელია ძველებურ ბიუროკრატიულ წესით. განმათავისუფლებელი მოძრაობა უარყოფაა ბიუროკრატიულ სისტემისა, და წმინდა უგუნურობაა ერთი მეორესთან შერიგება. უნაყოფოდ ჩაივლის მთავრობის ცდა შეათანხმოს ბიუროკრატიული სისტემა და მოქალაქობრივი თავისუფლება. ცდა კი არ დააწყნარებს განმანთავისუფლებელ ქარიშხალს, არამედ უფრო გააძლიერებს და მაშინ...

იმის მაგივრად, რომ არწმუნოს ხალხი: „ღმერთმანი, გულწრფელად მსურს მოქალაქობრივ თავისუფლების მონიჭებაო", სჯობს საჯაროდ გამოაცხადოს, რომ ამიერიდან მთავრობა ეკუთვნის ხალხს და მის წარმომადგენელთ.

მხოლოდ მაშინ დავიჯერებთ მთავრობის გულწრფელობას, მხოლოდ მაშინ დავინახავთ, რომ ბიუროკრატიულმა რეჟიმმა საუკუნოდ დალია სული. როდის მოხდება ეს? მოხდება მაშინ, როდესაც მოწვეულ იქნება დამფუძნებელი კრება ხალხის წარმომადგენლებისათვის მთავრობის გადასაცემად.

ჩ.

გურიის გაჭირვება

„ოზურგეთს მიმავალ ჰლასტუნებს გზა და გზა გადაუწვავთ ას-ოცი სახლი თავისის კარმიდამოებით, ყველაფერი გზაზე აუოხრებიათ. მცხოვრებთა ზარალი ასი-ათას მანეთს აღემატება. წარმოუდგენელი საზარელი სურათია, მცხოვრებნი დიდ გაჭირვებაში არიან. საჭიროა ყოველგვარი დახმარება"...

ასეთ გულდამწვავ სიტყვებით მოგვმართა გუშინ ჩვენმა კორესპონდენტმა! ვინ არ შეძრწუნდება ამ საშინელის ამბით? რომელ ქართველს შეუძლია აუღელვებლად წარმოიდგინოს „საზარელი სურათი" და გულდამშვიდებით განაგრძოს ყოველდღიური ცხოვრება?! არა, ერთ წუთსაც ვერ წარმოგვიდგენია, რომ გულზე ხელდაკრეფილი დარჩეს ჩვენი საზოგადოება, რომ ყოველი ადამიანი არ დაეხმაროს გაჭირვებაში ჩავარდნილ მოძმეთ! „ძმა ძმისთვისა—ამ დღისთვისა" და ჩვენი საზოგადოებაც სწორედ დღეს დაამტკიცებს თავის კულტურულ ძალას, თავის მოქალაქობრივ დამწიფებას, თუ „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა" არ დასტოვებს ჩვენ მოძმეთა ხმას.

საჭიროა და დაუყონებლივ საჭიროა მოეწყოს გურულების დახმარების საქმე. დაყოვნება შეუძლებელია. დღეს-ხვალ უნდა შეგროვდეს ჩვენი საზოგადოება და მოაწყოს ბიურო, რომელიც შეუდგება შემოწირულებათა შეგროვებას; მიჰმართავს ქალაქებს, გაზეთებს, მოქალაქეთ. უწესრიგოდ ამ საქმის წაყვანა არ ვარგა, რომ ცალკე გაზეთებმა ან კერძო პირებმა აგროვონ ფული და ნივთები; აუცილებლად საჭიროა ორგანიზაცია და ჩვენც მივმართავთ თუნდ იმ საზოგადოებას, რომელიც ამ დღეებში იკრიბებოდა დეპუტაციის გაგზავნაზე მოსალაპარაკებლად; მოვუწოდებთ მათ, ითავონ ბიუროს არჩევა და დახმარების საქმის გაძღოლა...

მივმართავთ ჩვენს მკითხველებსაც და მოვიწვევთ მათ მიჰბაძონ ბ-ნ კ. მ—ის (იხ. ქვემოდ „წერილი რედაქც. მიმართ) მაგალითს, რომელმაც მაშინვე გამოგზავნა თავისი წვლილი, როგორც-კი წაიკითხა გაზეთებში გურულების გაჭირვებულ მდგომარეობის ამბები. ამ ფულსაც და სხვათა შემოწირულებასაც ჩვენ გადავცემთ იმ ბიუროს, რომელიც, ჩვენის აზრით, უეჭველად უნდა დაარსდეს გურიაში დაზარალებულთა დასახმარებლად.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გურულებს ჟლეტენ, გურულებს ძარც- ნ, გურულებს ანადგურებენ! ამ მოწინავე ზეს არა მარტო ქართველ ხალხის განმავისუფლებელ ბრძოლაში, არამედ მთელ სეთის მოძრაობაში, დღეს რუსეთის მთა- ობა მთლად განადგურებას უპირებს. ყო- ლ შეგნებულ კაცის ზნეობრივ მოვალე- ა ითხოვს, რომ გურულებს დავეხმაროთ ა მარტო საქმეში გარევით და აქტიურად ქმედებით, არამედ მატერიალურადაც. მე და წილად, შეძლებისა დაგვარად, ხავნი ხუთ მანეთს.

კ. მ.

პედაგოგთა მიტინგი ნაძალადევში

გუშინ, 1 ნოემბერს, მოხდა მიტინგი ტფილისის წავლებლების პედაგოგებისა, მოსწავლეებისა მათის მშობლებისა. გრძელი მინდორი მთლად ჭედა. იქნებოდა 4,000 სულზე მეტი. დაე- ნო აგრეთვე ადმინისტრაციის განკარგულე- ა სამხედრო ადიუტანტი სტეფანოვი. თავ- ჯდომარემ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა და ქვა, რომ, ჩემის აზრით, ეხლა სწავლის გაგ- ლება არ შეიძლება. სწავლის გაგრძელება ძლება მხოლოდ მაშინ, როცა დააკმაყოფი- ენ ჩვენს მოთხოვნილებებს. აი ჩვენი მოთ- ნილებანი:

1. მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება ველთაო, პირდაპირ, ფარულ და თანასწორის ჭის ყრით; 2. მოსპობილ იქმნას ეხლანდე- რეჟიმი, ე. ი. გაყვანილ იქნას ჯარი, ეკ- ცია, ყაზახები და სხვა და 3. დათხოვნილ ან პედაგოგიურ პერსონალიდან ისინი, რო- ნიც ჩვენი მოწინააღმდეგენი იყვნენ თავი- ლების მოპოებისათვის ბრძოლაში.

მის შემდეგ გაიმართა კამათი.

ტუდენტი. 17 ოქტომბრის მანიფესტით მოგვეცა თავისუფლება. ეს თავისუფლება ლოდ ქაღალდზე დაიწერა და საქმით კი სხვა გამოვიდა. რუსეთსა ჰყავს ჯარი, ელიც ებრძვის თავისუფლებისათვის მებრ- ლთ. ეხლა-კი ამ მანიფესტის შემდეგ ებრ- ნ და ჟლეტენ იმათ, რომელნიც ბრძოლაში ურევიან. ავიღოთ 22 ოქტომბერი. ყაზა- ა შეცვივდნენ გიმნაზიაში და ამ გიმნაზიის იონში გასწყვიტეს იარაღით ბავშვები, რო- თაც არც ბრძოლისა, არც საზოგადო ცხო- ბისა არა იცოდნენ-რა. იუნკრები შეცვივდნენ ობებში, რედაქციებში ამასიანა ქცევას ბო- არ ექნება, თუ ჩვენ გაფიცვა არ განვაგ- თ. მთელი შენობა გიმნაზიისა შეღებილია ნკო ბავშვების სისხლით. ეს ატმოსფერა ა მოისპოს ჩვენში. იგი მოისპობა მხოლოდ ლით.

შობელთაგანი. მე მოხუცებული მამა ვარ. არიან, რომ ჩვენი შვილები წინ მიდიან და სუფლებისათვის იბრძვიან. გთხოვთ მშო- ბს, ნუ შეშინდებით, ჩვენ შვილებს წინ გა- დგეთ და მათთან ერთად ვიბრძოლოთ თავი- ლების მოპოვებისათვის.

მ სიტყვამ ხანგრძლივი ტაშის ცემა და „ვა- ს ძახილი გამოიწვია.

ოციალ-დემოკრატი. სკოლა არის ცხოვ- ის საფუძველი. დღეს ეს სკოლები განდევნეს მათრახებით „ზაპრეშჩენიებით" და სხვათი. როცა ასე გვექცევიან, სწავლის დრო აღარ არის.

მასწავლებელი ქალი. ვითხოვთ ნება მოგვცენ შევიკრიბნეთ ჩვენ ჩვენს სასწავლებლებში ცალ-ცალკე და ისე დალაგებით ვიქონიოთ ამაზე სჯა, და არა ამ მინდორში აჩქარებით.

მიტინგმა არ შეიწყნარა ეს აზრი. ბევრის კამათის შემდეგ მიტინგმა დაადგინა, რომ სწავლის განგრძობა არ შეიძლება. ამის შემდეგ მიტინგი შეუდგა რეზოლიუციის შემუშავებას.

ახალი ამბავი

✦ **გურიაში** მთავრობის მხრივ იგზავნება ნამესტნიკის თანაშემწე გენერალი მალამა და ბ-ნი ვეიდენბაუმი. საზოგადოების მხრივ გურიაში გასაგზავნად არჩეულ იქნენ „ვოზ."-ს რედაქტორი პართენ გოთუა, ტფ. სათავად-აზნაურო სკოლის უფროსად ნამყოფი ექვთიმე თაყაიშვილი და ნაფიცი ვექილი დემიდოვი.

✦ როგორც მიღებულ ცნობებიდანა სჩანს, **სომეხ-მაჰმადიანთა ჟლეტა-ხოცვა** აღარ თავდება. საშინელ ამბავს ატყობინებს ეჩმიაძინის მაზრის უფროსი კავკასიაში პოლიციის უფროსს. 29 ოქტომბერს 800 შეიარაღებულ სომეხს სრულიად გაუნადგურებია მაჰმადიანთა სოფელი გობსი. არ დაუზოგავთ არც ბავშვი და არც ქალი. მერე სომხებს ცეცხლი მოუკიდებიათ სოფლისათვის და ძთლად გადაუწვავთ 255 სახლი. დაუწვავთ და დაუხოციათ 53 ადამიანი, ხოლო დაუჭრიათ 27. სომხებს ფულად წაუღიათ 2727 მანეთი, გაურეკიათ 1200 ცხვარი. 325 თხა, 354 ხარი, 260 ძროხა, 20 ჯორი, 80 ცხენი და 33 ვირი.

✦ ტფილისში ხელის მოწერაა გამართული **სრულ პოლიტიკურ ამნისტიის** მოთხოვნის შესახებ. უკვე რამდენმამე ათასმა კაცმა მოაწერა ხელი. განცხადება წარედგინება მოსკოვში „კავშირთა კავშირს", რომელიც მთავრობას გადასცემს.

✦ **გაიფიცნენ** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოსამსახურენი სამტრედიის, ყვირილისა და შორაპნის სადგურებზე. ამ გაფიცვით მოსამსახურენი აცხადებენ უკმაყოფილებას ჯარის გაგზავნის გამო გურიაში. ყვირილის სადგურზე ყველა ორთქლმავალი ჩააქრეს, წყალი გამოუშვეს და წყლის მილი წაახდინეს. სამტრედიის სადგურზე უკვე მოიყვანეს რკინის გზის ბატალიონის ჯარის-კაცნი. სამტრედიიდან ტფილისისაკენ წამოვიდა სახალხო მატარებელი № 4. 31 ოქტომბერს სამტრედიაში ჩავიდა პირველი სამხედრო მატარებელი და მიიყვანა ერთი ბატალიონი ერევნის პოლკისა.

✦ **მთავრობისა და საზოგადოების იმ წარმომადგენლებთან** ერთად, რომელნიც გურიაში იგზავნებიან, მიდიან ტფილისის რუსულ-ქართულ გაზეთების კორესპონდენტებიც. იქვე მიდის ცნობილ ინგლისურ გაზეთის „ტაიმსის" კორესპონდენტი ბ-ნი ბრაუნი.

✦ **ადესაში არეულობების დროს** იმ მოკლულთა გარდა, რომელთა გვარებიც გამოცხადებული გვქონდა, დაუჭრიათ სტუდენტი ჩარკვიანი და 19 წლის ყმაწვილი მოსე ცხოიძე. სხვა დაჭრილ ქართველთა ვინაობა ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი.

✦ კვირას ანჩისხატის ტაძარში გადახდილ იქნა პანაშვიდი **უდროვოდ დაკარგულ ახალგაზრდა მეცნიერის საბა კლდიაშვილის** სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ განსვენებულის ნათესავები, ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი, ქართველი ინტელიგენცია და სხვანი.

✦ ერევნის პოლკი უკვე გასცდა ხაშურის სადგურს. ეხლა თითქმის ყველა სადგურზე ხაშურამდის **სამხედრო მატარებლები** დგანან და ელიან მემანქანეს, რადგან ყველა დეპოს მემანქანეთ უარი განაცხადეს წასვლაზე. დღეს უნდა გავიდეს ტფილისიდან სამტრედიას პოლტავის ყაზახთა მეორე პოლკი და მსროლელთა ბატალიონი სამთო ზარბაზნებით.

✦ გუშინ, 1 ნოემბერს, გურიაში უნდა წასულიყო იქაურ ჯარის უფროსად დანიშნული **გენერალი ალიხანოვ-ავარსკი**.

✦ ქალადიდის სადგურზე 31 ოქტომბერს **სადგურის დასაცველად** მივიდა ნავაგის პოლკის 80 სალდათი და ორი აფიცერი.

✦ 31 ოქტომბერს იზმაილოვის ქუჩაზე **მოჰკლეს საპიორნი ბატალიონის ფედფებელი ლანჩენკო.** მკვლელნი ვერ აღმოაჩინეს.

✦ ტფ. გუბერნიის **მარშლის მოადგილემ შუამდგომლობა** აღძრა, რომ აღარ მოხდეს მემამულეთა იმ მამულების საჯარო ვაჭრობა, რომელიც დაგირავებულია სახელმწიფო ბანკსა და „პრიკაზ"-ში. ვაჭრობა უნდა მოხდეს ამ თვეში.

✦ ვანქის ქუჩაზედ, 31 ოქტომბერს **შემდეგი მკვლელობა მოხდა**. ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის ხელოსანი ი. ა. რუდენკო და მებელის მკაზმავი მიხეილ ზურაბოვი ჩასულან გეთაშვილისა და ოქრუაშვილის სარდაფში. აქ კარგად დაულევიათ, რომლის დროსაც რამდენჯერმე შელაპარაკებულან. რუდენკოს უთქვამს: „განა მე ხულიგანი ვარ? ხულიგანი-კი არა, „პატრიოტი" ვარო." ლაპარაკი მოსვლიათ მაშინაც, როცა გარედ გამოსულან. რუდენკოს რევოლვერი ამოუღია და ამ „სიტყვებით - "აი თუ ხულიგანი ვარო", დაუხლია და ზურაბოვი იქვე მოუკლავს. რუდენკო დააპატიმრეს.

✦ მომავალს კვირაში მოხდება საზოგადო კრება ტფ. ვაჭართა საზოგადოებისა. კრებამ, სხვათა შორის, უნდა განიხილოს საკითხი 29 აგვისტოს და 22 **ოქტომბერს დახოცილთა** პატრონების დახმარების შესახებ.

✦ 31 ოქტომბერს **საერთო კრებაზე ტფილისელმა მასწავლებლებმა** დაადგინეს: 1. შეადგინონ საორგანიზაციო ბიურო ტფილისის მასწავლებელთა მოქმედების შესაერთებლად და „პედაგოგთა კავშირის" წესდების შესამუშავებლად; 2. წინადადება მიეცეს ტფ. სასწავლებელთა კორპორაციებს 6 ნოემბრისთვის აარჩიონ საორგანიზაციო ბიუროს დელეგატები: ა) საშუალო სასწავლებლებმა უნდა აარჩიონ თითო დელეგატი; ბ) 1872 წლის დებულების საქალაქო სასწავლებლებმა ყველამ ერთად —ერთი დელეგატი; 3. ებრაელთა პირველ დაწყებით სკოლამ – ერთი; 4. ყველა უწყების პირველ დაწყებით სკოლებმა, რომელთაც კორპორაციები მოაწყეს—თითო დელეგატი თითო კორპორაციისაგან. საქველმოქმედო და კერძო სკოლები პირველ დაწყებით სკოლების წესით აირჩევენ დელეგატებს. დელეგატთა კრების დრო და ადგილი ცალკე იქნება გაზეთში გამოცხადებული.

✦ 6 ნოემბრისთვის მოსკოვში დანიშნულია **ერობის და ქალაქის წარმომადგენელთა კრება**. კრებამ უნდა განიხილოს საკითხები სახელმწიფო რეფორმების შესახებ. 31 ოქტომბერს ტფილისის საბჭომ დაადგინა, გაჰგზავნოს ორი წარმომადგენელი ხარჯად თითეულს წარმომადგენელს 250 მან. დაუნიშნა. წარმომადგანლების არჩევა მალე მოხდება.

✦ **ბათუმის ქალაქის** მოურავის თავ. ანდრონიკაშვილისაგან ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილემ შემდეგი დეპეშა მიიღო:

> სენსაციურმა ხმებმა, რომელიც ბათუმში გავრცელდა გურიის შესახებ, იმ ხმებმა, რომ მთავრობას გადაუწყვეტია რეპრესიული ზომები მიიღოს გურიის დასამშვიდებლად, დიდათ აღაშფოთა ბათუმის ქალაქის მცხოვრებნი, რომელნიც გურულებთან ნათესაურის კავშირით არიან შეერთებულნი. საბჭომ დაადგინა, იშუამდგომლოს ნამესტნიკის წინაშე ნება დართოს, რომ ხალხის წარმომადგენელნი გაიგზავნენ გურიაში მშვიდობიანობის ჩამოსაგდებად. როგორც ამ ბოლო დროს მიღებულ ცნობებიდანა სჩანს, გავრცელებული ხმები გადამეტებულია. ქუთაისის გუბერნატორის ბ-ნ სტაროსელსკისაგან მიღებული დეპეშა მოწმობს, რომ იმას არავითარი რეპრესიული ზომები არ მიუღია გურიის დასამშვიდებლად. ნამესტნიკის დეპეშიდან-კი სჩანს, რომ გურულებს ჰბრალდებათ გაქცეულ სალდათების დამალვა, ყაჩაღების დაფარვა, სხვა და სხვა მკვლელობა და სამხედრო ბეგარაში არ გასვლა. გურულებს ჰბრალდებათ აგრეთვე გადასახადის ხაზინაში არ შეტანა. ამის გამო ბათუმის ქალაქის საბჭომ საგანგებო სხდომაზედ, სცნო რა, რომ გურიის მოძრაობა არაფრით არ განსხვავდება, შესაძლებელად ვერა სცნო ხალხის წარმომადგენელთა გასაგზავნად ისარგებლოს ნამესტნიის ნებართვით. შეგვატყობინეთ, ტფილისმა მართლა შეადგინა თუ არა ქალაქის მილიცია და რა საფუძველზე. როგორც ჩვენ ვიცით, საკითხი მილიციის შესახებ ტფ. თვითმართველობას ჯერ არ გადაუწყვეტია.

✦ ტფ. საბჭოს შემდეგს სხდომაზედ განხილული იქნება საკითხი იმის შესახებ, რომ **ხმოსანთა არჩევნები მოხდეს საყოველთაო, პირდაპირ და ფარულის კენჭის ყრით**.

✦ ტფ. საგუბერნიო საპატიმროსა და მის განყოფილებაში ამ ჟამად იმყოფება 23 **პოლიტიკური დამნაშავე**.

✦ გადასწყდა **გააუქმონ საადრესო სტოლები**, რომელიც პოლიციის ნაწილებთან არსებობდა.

✦ **საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორად** ცნობილ მღვდლის გოროდცევის ნაცვლად დროებით დაინიშნა მღ. გამრეკელი.

✦ კანონით ქალაქი ვალდებულია ადგილობრივ დაბანაკებულ **ჯარს ბინები უქიროს**. რადგან ამ ჟამად ტფილისში დიდძალი ჯარია და ქალაქი-კი უფულობით გაჭირვებაში იმყოფება, შუამდგომლობა აღიძრა, რომ ბინების დასაქირავებლად ხაზინიდან 300 ათასი მანეთი გადაიდოს.

✦ როგორც ვწერდით, **უკვე დაიწყო გამოძიება 22 ოქტომბრის სისხლის ღვრის ამბებისა**. ტ. სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი ბ-ნი სკოპინი სთხოვს ყველას, ვინც-კი იცის რამე 22 ოქტომბრის ამბების შესახებ, აცნობოს ყველაფერი პალატაში, პროკურორის კამერაში, დილის 1-დან 3 საათამდე.

✦ როგორც „ვოზ." გადმოგვცემს, წარსულ კვირას პირველ გიმნაზიის ზემოდ **სალდათებს ნამდვილი ბაზარი გაუმართავთ**. ჰყიდდნენ თურმე სხვა და სხვა ნივთებს.

✦ გაზეთ „კავკაზ"-ში დაბეჭდილია კავკასიის პოლიციის გამგის, **გენ. შირინკინის შემდეგი განმარტება**:

„ცნ. ფურცელი" იტყობინება, რომ კავკ. რკინის გზების უფროსმა ი. კ. ივანოვსკიმ შეადგინა იმ პირთა სია, რომელთაც ხელი შეუწყეს გაფიცვის ორგანიზაციას. პოლიციის გამგემ გენ. შირინკინმა ეს სია ნამესტნიკს წარუდგინა და იშუამდგომლა, ეს პირნი დასჯილ იქმნანო; მაგრამ კრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა უყურადღებოდ დასტოვა ეს შუამდგომლობა.

ეს ცნობა ნამდვილი სიცრუეა. არავითარი სია რკინის გზის უფროსს ჩემთვის არ წარმოუდგენია და არავითარი შუამდგომლობა ამ საქმეზე მის უდიდებულესობის ნამესტნიკის წინაშე მე არ აღმიძრავს".

ჩვენ ეს ცნობა მოგვაწოდა ერთმა ფრიად სანდო პირმა და არავითარი საბუთი არ გვქონდა ეჭვი შეგვეტანა მის სიმართლეში.

✦ ქართულ დრამატიულ დასს ხუთშაბათს უნდა წარმოედგინა „აღსდგა მკვდრეთით". ამ პიესის ნაცვლად დანიშნეს სხვა პიესა „ცხოვრების გარეშე" პროტოპოპოვისა.

✦ საჩხერე. 12 და 21 ოქტომბერს ვიღაც კაცები დაეცნენ კნ. ელ. წერეთლის სახლს. სახლში მყოფნი გადარჩენილან. ეხლა სახლს თვით გლეხები სდარაჯობენ.

ტფილისის ქალაქის საქმეები

თავისუფლება სიტყვისა, კრებისა, კავშირისა, პირადობის და საცხოვრებელ ბინის ხელუხლებლობა გამოცხადდა 17 ოქტომბრის მანიფესტით, ხულიგანებმა ტფილისშიაც საშინელი სისხლის ღვრა მოახდინეს, საომარ დროის წესები გაუქმდა, ტფილისის ცაზე ცოტათი შავი ღრუბლები გადაიწმინდა და აქამდე ნებით თუ უნებლიედ სადღაც მიმალულმა ქალაქის „მამებმა" თავი წამოჰყვეს, „ჩვენც ვხნავდითო", და 31 ოქტომბერს გაანახლეს საბჭოს დარბაზში კრებები. ამ დღეს, თუმცა სხდომა ნაშუადღევის 2 საათზედ მოხდა, გარეშე ხალხი ბლომად დაესწრო, ამასთან ბევრმა გარეშემ მიიღო მონაწილეობა კამათში. თავმჯომარეობდა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, რომელმაც შემდეგის სიტყვით მიმართა დამსწრეთ: მშრომელმა ხალხმა ხანგრძლივისა და ძლიერის ბრძოლის შემდეგ პირველი ნაბიჯი უკვე გადასდგა პოლიტიკურ თავისუფლების მოსაპოებლად და ეხლა საჭიროა უფრო ინტენსიური მოქმედება მოპოებულის შესანარჩუნებლად და ცხოვრებაში განსახორციელებლად. სულ რამდენიმე დღე გავიდა, რაც მანიფესტი გამოცხადდა, მაგრამ მაშინვე თავი წარმოჰყვეს ბნელმა ძალებმა, რომ ხალხს ხელიდან გამოგლიჯონ მოპოებული თავისუფლება. ამიტომ საჭიროა მედგარი ბრძოლა ამ შავ-ბნელ ძალებთან, მაგრამ ბრძოლა უნდა იყოს არა ფიზიკური არამედ გონებრივ-ზნეობრივი, რომ გზა დაბნელებულთ გავაგებინოთ გემო და ძალა თავისუფლებისა. რაც შეეხება ტფილისის ქალაქის საქმეებს, უნდა აღვნიშნო, რომ ქალაქი 29 აგვისტოს მომხდარ უბედურების შემდეგ განსაკუთრებულ პირობებში ჩავარდა. მას შემდეგ, რაც ცხოვრების პირობები შეიცვალა, ხმოსნებმა შესაძლებლად სცნეს საბჭოს სხდომების განახლება. ხმოსანთა ასეთს მო-

ფელეტონი

ქუთაისის დღიური

ოქტომბერი. ქუთაისი ქვეყანას მოსწყ- -რკინის გზა აღარ მუშაობდა, ტელე- ვი ტფილისისაკენ დეპეშას აღარ იღებდა. ეთის დაბა-ქალაქები ჯერ არ იყო მო- ტილი ქუთაისს—ტელეგრაფი კიდევ მო- ებდა. რკინის გზის მიმოსვლის შეჩე- ს ასე მალე არ მოელოდნენ; ბევრი მხრიდან მოსული ქუთაისში ჩარჩა.

ავი ქვის მწარმოებელთა კრებას მეცა- ეობა არ შეუწყვეტია—მოხდა საბჭოს ჯდომარის არჩევანი. დიდის ხმის უმე- ობით აირჩიეს ძველი თავმჯდომარე— რგი ზდანოვიჩი. როგორცა სჩანს, იმისი ინააღმდეგენი დარწმუნდნენ, რომ უკეთეს საქმის სათავეში ვერ ჩააყენებენ და ჩევნო აგიტაციას თავი დაანებეს.

დესვე დაიწყო კენჭის ყრა იმ ახალ- ობისა, რომელთაც სამხედრო ბეგარა ა გადაიხადონ. ბევრი ფიქრობდა, რომ ინ გამოცხადდებაო და ხალხი მართებ- ას ჯარის კაცებს არ მისცემსო. მოლო- ა არ გამართლდა: ქუთაისში მრავალი ეგაზდობა გამოცხადდა.

ამხედრო საკრებულო მოქმედება ერთმა ინდენტმა ერთის საათით შეაჩერა და აი მიზეზით: ქუთაისის მაზრის მარშალმა ებილთ მოკლე სიტყვით მიმართა და, თა შორის, ის გარემოება აღნიშნა, რომ წესიერების დასაცველად პოლიციელები მოიწვია კვლავინდებურად და თითონ ებილთ სთხოვა წესიერების დაცვა. კი ონო, დავიცავთ წესიერებას, უპასუხა ხმა, მაგრამ რას მოასწავებს ის, რომ ებულოს ეზოში ჯარია დაბანაკებულიო? ჯდომარე თავ. დ. ნიჟარაძე საკრებუ- წევრთ შეეკითხა, ვინ მოიწვია ჯარიო როცა მათგან ვერა გაიგო-რა, ხალხს აუწყა, რომ კრებას მცირე ხნით ვხურავ და მივდივარ გუბერნატორთან იმის გასაგებათ, ვინ გამოგზავნა ჯარი. თუ ჯარის წაყვანა აქედან ვერ მოვახერხეო, სთქვა თავ. ნიჟარაძემ, თავმჯდომარეობაზე უარს განვაცხადებო. ერთის საათის შემდეგ ნიჟარაძე დაბრუნდა, ეზოში დაბანაკებული ჯარი დაითხოვა და ხალხს აცნობა, რომ ჯარის დაბანაკება საკრებულოს ეზოში მომხდარა საკრებულოს ერთის წევრის ინიციატივით ისე, რომ გუბერნატორს არაფერი გაუგიაო.

ამავე დღეს შორაპნის მაზრიდან ამბავი მოვიდა ქუთაისში, რომ სამხედრო ბეგარად გამოწვეული ხალხი გამოცხადდა, ხოლო ლეჩხუმში სულ რამდენიმე კაცი გამოცხადებულა.

ქალაქი არა ჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდა—ქუჩაში მრავალი ხალხი მიდიმოდიოდა, ბაზარი გაჭედილი იყო სანოვაგეს მყიდველ ხალხით. კაცს ეგონებოდა, წითელი პარასკევია და ხალხი სააღდგომო მზადებაშიაო.

საღამოს პირას ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ სუფსის მახლობლად ტელეგრაფის ბოძები წააქციეს და მავთულები მოხსნესო.

16 **ოქტომბერმა** მშვიდობიანად ჩაიარა. სამხედრო საბეგროდ მოსულ ახალგაზრდობას ამოწმებდნენ: ყველა გამოცხადდა. ზუგდიდიდან ამბავი მოვიდა, რომ სამხედრო საბეგრო ხალხი საკმაოდ გამოცხადდაო. სხვა მაზრებიდან ჯერ არაფერი ისმის.

17 **ოქტომბერს** საყოველთაო გაფიცვა დაიწყო. ქუჩაში ჰაჭანება არ იყო. ყველა თავის სახლში ჩაკეტილია. წუხელის ღამის ოთხ საათზე ოლქის სასამართლოს შენობის გაძარცვა მოუწადნიათ, მაგრამ რადგან ადრე გაუგიათ, წადილი ვერ შეუსრულებიათ. დღეს პირველად მოვიდა ქუთაისში სააგენტოს დეპეშები. ამავე დროს შესაძლებელი შეიქნა ტფილისთან დამოკიდებულების დაჭერა ტელეგრამის საშუალებით. სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში არ მუშაობენ. დიდი დემონსტრაცია, რომლის მოლოდინი ბევრსა ჰქონდა, არ გამართულა, სამასიოდე კაცმა დემონსტრაციის გამართვა მოინდომა, მაგრამ პოლიციას დიდი ცდა არ დასჭირდა, რომ დემონსტრანტები დაეშალა.

სამაგიეროდ, წესიერად დაწყებული ჯარის კაცების კენჭის ყრა საერთო გაფიცვის გამო დროებით შეჩერდა. ოთხშაბათს დილით გუბერნატორთან იყო დეპუტაცია იმ საზოგადოების მამასახლისთაგან შემდგარი, რომელთაც კენჭი უნდა ამოეღოთ. აქ იყო სვირისა, ბაღდადის, დიმისა და სხვა მამასახლისები. დეპუტაციაში ბაღდადელი თ-დი ერისთავი ერია. დეპუტატებმა ერისთავის პირით გუბერნატორს აუხსნეს შემდეგი: ჩვენმა მამასახლისებმა გამოგზავნა ქუთაისში ახალგაზდობა კენჭის ამოსაღებად. ჩვენი მოვალეობა პირნათლად გვინდოდა შეგვესრულებინა, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა: წუხანდელს აქეთ გვემუქრებიან, სახლში აღარავინ გვიშვებს, ჩვენი ბარგი გამოგვიყარეს იმ დუქნებიდან, საცა ჩვენ დავბინავდით და ამ დილაზე რომ სამხედრო საკრებულოსთან შევიკრიბეთ, კიდევ შემოგვითვალეს, რომ თუ კენჭის ყრას თავს არ დაანებებთ, ინანებთო. ამისთანა პირობებში ჩვენ ქუთაისში დარჩენა არ შეგვიძლია და გთხოვთ ნება მოგვცეთ შინ წასვლისა და სიტყვას გაძლევთ, რომ დამშვიდდება თუ არა ხალხი, მაშინვე მოვალთო. გუბერნატორმა უპასუხა, რომ ჩემის უფლებით თქვენი დათხოვნა არ შემიძლიან, რადგან კენჭის ამოსაღებად შეკრებილ ხალხის დათხოვა შეიძლება მოხდეს მარტო უმაღლესის ბრძანებით. მიუხედავად ამისა, მესმის თქვენი მდგომარეობა და ამიტომ ვეცდები ისეთი გზა გამოვნახო, რომ საქმეც არ წახდეს და თქვენც გაგანთავისუფლოთო.

ჩვენ არ ვიცით, რა თათბირი ჰქონდა ბ-ნ გუბერნატორს სამხედრო საკრებულოს თავმჯდომარესთან, და საქმე-კი ასე გათავდა: საკრებულოში წარდგნენ იგივე პირები და თხოვნა განიმეორეს. სამხედრო საკრებულომ, მიიღო-რა მხედველობაში განცხადება ხალხის წარმომადგენლებისა, თავისი მოქმედება შეჩერებულად სცნო, რის შესახებაც შეადგინა პროტოკოლი, რომლის პირიც გაეგზავნა გუბერნატორს.

18 **ოქტომბერი**. სამმა დღემ უკვე განვლო, რაც ქუთაისი ქვეყნიერებას მოწყვეტილია. ეს სამი დღე საუკუნეზე მეტად გაგრძელდა: უცოდინრობა მომავალისა, მიმწყდარი სიცოცხლე ქალაქისა, კოკის პირული წვიმა უზომო სევდას ჰგვრიდა კაცსა. 18-ს მშვენიერი დღე დადგა და ბევრი ხალხი გამოვიდა გარედ. ხმა გავარდა, რომ რამდენმამე კაცმა ნებართვა მიიღო გუბერნატორისაგან სახვალიოთ მიტინგის გამართვისა, ახალის კანონის თანხმად.

წესიერება ქუთაისში ერთ დღესაც არ დარღვეულა. ეს აიხსნება ერთის მხრით იმით, რომ ხალხი საკმაოდ მომზადებულია სამოქალაქო ცხოვრებისათვის და მეორეს მხრით იმით, რომ რეპრესიამ სამხედრო წესებისამ ადგილი დაუთმო ლმობიერებას.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო ერთი არა სასიამოვნო მოვლენა, რომელიც ყოველთვის თანსდევს ხალხის პოლიტიკურ მოძრაობას. მე მოგახსენებთ ავაზაკობის და ძარცვა-გლეჯის გამრავლებაზე. დღე ისე არ გაივლის, რომ ვისმეს არ მიუხტნენ ძარცვა-გლეჯის აზრით: ბიჭ-ბუჭები პარტიების სახელით ჰონასავით დადიან სახლებში და ფულსა ჰკრეფენ. მოქალაქენი უსიამოვნობის თავიდან ასაცილებლად უფროს ერთ შემთხვევაში ასეთ მოთხოვნილებას ასრულებენ, მაგრამ უკმაყოფილო მრავალია. ჩემის აზრით, პარტიები, რომლის სახელით ბოროტ-მოქმედებენ ბიჭ-ბუჭები და ხულიგანები, მოვალენი არიან მოსპონ ასეთი არა სასიამოვნო მოვლენა; უამისოდ ადვილი შესაძლებელია საზოგადოებაში ნდობა დაჰკარგონ და მერე მოპოვება ადვილი საქმე არ არის.

ამ დღეს ამბავი მოვიდა მანიფესტის გამოცემის შესახებ. ნამდვილი ტექსტი მანიფესტისა არავინ იცოდა და ამიტომ მსჯელობა ნაკლებად იყო.

19 **ოქტომბერი**. ქალაქში არა ჩვეულებრივი მოძრაობა იყო. მრავალი ხალხი ბულვარისაკენ გაეშურა პირველ ნება დართულ მიტინგზე დასასწრებლად; სოფლიდან მოსულიც მრავალი იყო. ბულვარი და მიდამოები ხალხით გაიჭედა. 12 საათისთვის იყო მოწვეული გუბერნატორის მოხელე კრებაზე დასასწრებლად. თავმჯდომარის ადგილი დაიჭირა სააზნაურო გიმნაზიის მასწავლებელმა რობაქიძემ. კრება დაიწყო.

წინა დღეს ქალაქში ხმა დადიოდა, რომ ეს კრება დემოკრატებისა და ფედერალისტების დისპუტი იქნებაო. აღმოჩნდა, რომ ფედერალისტები ამ კრებაზე არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ. წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა. ფედერალისტების ავად ხსენებას და თავის თავის ქებას უფრო მეტი ადგილი ეჭირა, ვიდრე თანამედროვე საკითხის განხილვას და გამოკვლევას.

12 საათზე კრება გათავდა და შეკრებილთა ერთმა ნაწილმა სიმღერით შემოუარა ბულვარს.

ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ პოლიცია არსად სჩანდა და, მიუხედავად ამისა, წესიერება ერთ წამსაც არ დარღვეულა.

ჯერ კრება არ გათავებულიყო, რომ ხალხში გაავრცელეს ფურცლები, რომლითაც ფედერალისტები იწვევდნენ ხალხს სახვალიო მიტინგზე.

ქუთაისში ამ დღეს შესანიშნავი არა მომხდარა. გურიიდან საეჭვო ხმები მოვიდა, ვითომ ჩოხატაურში ხალხი დასცემოდეს

ბევრნი ჰგმობენ და ბევრნიც კიდევ თა- რიან ასეთის ჯადაწყვეტილებისა. პირველ- ნთ მოქმედებას იმით ასაბუთებენ, რომ ხალხის ამორჩეულნი არ არიან. თუმცა ლია, მაგრამ ვინც დაჰკვირვებია საბჭოს ბას, ნახავდა, რომ საბჭო ყველა მცხოვრებ- ლის გამომეტყველი იყო. საქმე ისეა და- , რომ ხმოსნებმა ან სულ უნდა დაანე- ან უნდა შეურიგდნენ არსებულ პი- და დროებით დაკმაყოფილდნენ იმითი, საბჭოს შეუძლიან შუამდგომლობა აღ- ოველთაო არჩევნების შესახებ, ხოლო მა- სებულ ვითარებას უნდა შეურიგდეს და ის სხდომები, რადგან ძალიან ბევრი საქმეა ბელიო.

ულ თავმჯდომარემ წინადადება მისცა , ფეხზე ადგომით პატივი ეცათ 29 აგვი- 22 ოქტომბერს დახოცილთა და აგრეთვე თა სახელისათვის, რომელთაც თავისუფლე- ბას შესწირეს თავი. საბჭომ ფეხზე ად- ტივი სცა მათ ხსოვნას.

ს. მიქელაძე. ორი თვეა ტფილისის სხდომები შევწყვიტეთ. გვაიძულა ასე მოვ- ავით იმ საშინელმა სისხლის ღვრამ, რო- აქ აი ამ დარბაზში ჰქონდა ადგილი. ბიანი უიარაღო ხალხი თავის საჭირბო- საქმეების განსახილველად შეიკრიბა, მაგრამ დაასიეს და ამოჟლიტეს. ზიზღი და შერ- მანკო სისხლის დაქცევაში დამნაშავეთ. ამ ნ, ხმოსნები, საბჭოს დავუბრუნდით რო- ავისუფალ მოქალაქენი და ამიერიდან რუ- ცვლელი აღარ იქნება ჩვენი მე მრწამს საც უნდა გვრწამდეს, რომ აწინდელი ქალაქობრივი თავისუფლება უზრუნველ- იქნება. უკანასკნელ წელს მეტად გამწვავდა . ერთის მხრით მოწინავე რაზმი მშრომელ და მეორეს მხრით ბნელი ძალები, რო- ყოველსავე საშუალებას ხმარობდნენ მებ- წინაალმდეგ. 17 ოქტომბრის მანიფესტმა ულო ამ ბრძოლას და მით დასრულდა მოქმედება. მეორე მოქმედება ის იქნება, მოპოვებული თავისუფლება შევინარჩუნოთ ებაში განვახორციელოთ. ამისათვის სა- ერო ძლიერი ერთობა და მოქმედება. ბა- ხემს თავსაც და თქვენც გილოცავთ თავი- ს.

ა. მ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი. ბნელმა ძალებმა ისე გაბედულად წამო- ები, რომ მრავალ ადგილას დანთხეული აღარ გვაკვირვებს, თითქოს შევეჩვიეთ კი- ლგან იქცევა სისხლი, მაგრამ ის, რაც ოქტომბერს, სხვაგან არ მომხდარა. აქ შეიკრიბნენ მცხოვრებნი და უნდოდათ თა- საჭირბოროტო საგნებზე მოელაპარაკათ, ნაშაულო ხალხი ხაფანგში გაება. იმ ოცა მთავრობას შეეძლო გასაღები გადაე- ბინა და ორი ათასი კაცი დაეპატიმრებია, , დაესაჯა, ამ დროს, ვამბობ ყაზახები მხეცური სისხლის ღვრა გამართა. სისხლის , მკვლელებმა ზიზღითა და შერცხვენით თავიანთი სახელი და ვერაფერი ვერ ჩამო- ით უმანკოთა სისხლს. საუკუნოდ იყოს თავისუფლებისათვის დახოცილთა. დასას- ოსანმა წინადადება მისცა საბჭოს დახოცი- დაჭრილთა პატრონებს დახმარება აღმო- რისთვისაც საჭიროა გადაიდოს 3000 მან. ვე უნდა დაინიშნოს სასჯიკი გამოძიება წარმომადგენლის თანადასწრებით, რომ რავდნენ დამნაშავენე 29 აგვისტოს ხოცვა- .

ა. ხუდადოვი თავ. მიქელაძის მიერ ულს სიტყვას შეეხო და სთქვა, არა მჯე- რც დავიჯერებ, რომ მოქალაქობრივ თა- ბას ვინმე უზრუნველჰყოფს, თუ ეს თვით არ მოახერხაო. შემდეგ ხმოსანმა განაცხადა, , დღევანდელი ხმოსნები, არა ვართ მთე- აქის მცხოვრებთა წარმომადგენელნი. ჩვენ 1200 კაცმა, ქალაქში კი 45,000 ამომრ- მეტია. პირველი საკითხი, რომელიც უნდა ს საბჭომ, არის ახალი არჩევნები ხმოსნებისა. არჩევა უნდა მოხდეს პირდაპირ, საყოველთაო და ფარულის კენჭის ყრით. ვითხოვ პირველად განხილულ იქმნას ჩემი წინადადება.

ბ-ნმა ვ. ი. ნიკოლაძემ (არა ხმოსანმა) წინადადება მისცა საბჭოს, ქალაქმა ბაღი გააშენოს 29 აგვისტოს დახოცილთა საფლავზე და ძეგლის დადგმით უკვდავ ჰყოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა სახელი.

თ-დი. **კ. აბაშიძე** (არა ხმოსანი). თავ. მიქელაძემ მოგილოცათ თავისუფლება და გამოსთქვა რწმენა, რომ მოქალაქობრივი თავისუფლება უზრუნველყოფილი იქმნებაო. მე ვერ მოგილოცავთ თავისუფლებას, რადგან ყოველივე, რაც ხდება, დიდად მაეჭვებს. მანიფესტი იმნაირი კილოთია დაწერილი, რომ ვერ ვენდობით. განა სხვა რიგად მოქცევა შეიძლება მას შემდეგ, რაც 22 ოქტომბერს მოხდა. კავკასიის ცხოვრებაში 22 ოქტომბერი დაუვიწყარი და დიდი დღეა. ამ დღეს თავი წამოჰყო ტფილისშიაც ბნელმა ძალამ და ვერაგულად, ქურდულად შეებრძოლა ახალს ცხოვრებას და აკი ბევრი სისხლიც დააქცია. ჩემის აზრით, ქალაქმა ძეგლი უნდა დასდგას იმ ადგილას, სადაც ეს საშინელი ხოცვა-ჟლეტა მოხდა. ეს ძეგლი იქმნება გამომეტყველი და მომგონებელი იმ საშინელ ბარბაროსობისა, რომელიც ტფილისში ჩაიდინეს. ეს ძეგლი იქმნება ემბლემა შურის ძიებისა მათ წინაალმდეგ, ვინც ასე მხეცურის შეუბრალებლობით და უზომოდ დახოცა ხალხი. თავისუფლება პეტერგოფიდან კი არა, მანჯურიის ველიდან მოგვეცა. თვითმპყრობელობამ იქ ჩამარხა თავისი სახელი, იქ გამოაშკარავდა მისი სიდუხჭირე, და აი ამის შემდეგ მშრომელი ხალხი უფრო მეტის იერიშით მიდის და ართმევს თავისუფლებას. 29 აგვისტოსა და 22 ოქტომბერს მომხდარ სისხლის ღვრაში განსხვავებაა. 29 აგვისტოს მომხდარი ამბავი პასუხის საგებელია და თუ იურიდიულს ხრიკებს არავინ მიჰმართა, თავს ძნელად გაიმართლებენ. ხმოსნები, ჩემის აზრით, არ უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ თანამდებობას, ვიდრე აქ ბრძანდებიან ისეთი პირები, რომელნიც ამახინჯებენ და აუკუღმართებენ მანიფესტის შინაარსს.

თავ. **ი. ბარათაშვილი.** (ხმოსნად ნამყოფი გალერეიიდან ლაპარაკობს). 29 აგვისტოს მომხდარ უბედურების შემდეგ ჩვენ, ხმოსნები, თავს ვანებებთ თანამდებობას და მით პროტესტს ვუცხადებთ მთავრობას. გავიდა დრო, გამოცხადდა 17 ოქტომბრის მანიფესტი, ჩვენმა ხმოსნებმა სთქვეს, თავისუფალი მოქალაქენი ვართო და დამშვიდებულთ განაახლეს სხდომები. მაგრამ ჩვენ მოტყუებულნი ვართ. თავისუფლება მხოლოდ ქაღალდზეა დაწერილი. ეს რომ ასეა, ადმინისტრაციის მოქმედებიდანა სჩანს: აღსრულების ნაცვლად მანიფესტი ადგილობრივმა მთავრობამ გადააუკუღმართა და ხალხს ერთი ხელით მიცემული თავისუფლება, მეორეთი წაჰგლიჯა, ხელუხლებლობა პირადობისა უკუაგდო და 22 ოქტომბერს ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტა გამართა. რითი ვართ უზრუნველ ყოფილნი, რა გარანტია გვაქვს, რომ ხვალვე ასე ველურად ირ დაგვეცემიან თავს და ასევე მხეცურის იერიშით არ ამოგვხოცავენ აქ, როგორც 29 აგვისტოს მოხდა. არავითარი გარანტია ჩვენ არა გვაქვს, რომ მშვიდად შევუდგეთ ცხოვრებას, ამიტომ მე მოვითხოვ ეხლავე დეპეშა გაუგზავნოს ქალაქმა გრაფ ვიტტეს, რომ ადგილობრივი მთავრობა დაუყოვნებლივ გადაყენებულ იქნას სამსახურიდან.

შემდეგ ერთმა მუშამ დიდხანს ილაპარაკა თავისუფლების მოპოვებაზე. სთქვა, თავისუფლება მაშინ გვექნება, როცა ჩვენ მოვიპოვებთ, თორემ მოცემული, კარგად უნდა ვიცოდეთ, ისევ ისე წაგვერთმევაო. ერთი სტუდენტი ვრცელს სიტყვაში ამტკიცებდა, რომ ტფილისის საბჭოს ხმოსნებს უფლება არა აქვთ არსებულ პირობებში განაგრძონ სხდომები. მეორე ორატორმა ითხოვა: ბოიკოტი გამოეცხადოს მინიფესტის გადამმახინჯებელთ და ავაზაკურად მშვიდობიან ხალხის თავზე დამცემთ. აღარ გვინდა ქურდები და ავაზაკები, ჩვენ უფლება მოვიპოვეთ, ჩვენი წარმომადგენელნი ავირჩიოთო. ბ-ნი კოჩინევი მცხოვრებთა მფარველ მილიციის ორგანიზაციის დაჩქარებას ურჩევს საბჭოს.

ბ-ნი **ისიდ. რამიშვილი.** დადგა ხანა რევოლიუციისა აზღვავდა, აბობოქრდა ძლიერი ტალღები რევოლიუციისა და იერიში მიიტანა, რათა გამოუნგრიოს საფუძველი ძველ ფორმებს, ძველს შენობას ძალმომრეობისა და ბოროტებისას. დიახ, დადგა ხანა რევოლიუციისა. ისტორიამ რევოლიუცია ერთი იცის. ჩვენ არ ვიცით ისტორია რევოლიუციისა, ჩვენ გამოუცდელები ვართ და ეხლა ვიწვრთნებით და ვდუღდებით რევოლიუციის ქარცეცხლში, ისე, როგორც ქოთანი ცეცხლში გამოიწვება. ჩვენ დამცველნი ვართ ძველის გათახსირებულ ცხოვრებისა, ჩვენ გამდებნი ვართ უსამართლოების ხიდისა. არა ვფიქრობდით, თუ უსამართლობა შეირყეოდა, ბოროტება დაეცემოდა. ეხლა ძლიერი ძალა აღსდგა ბოროტების სიწინააღმდეგოდ, თვითნებობა—ავკაცობის დასამხობად. აი, ამ ძლიერმა მთელის კაცობრიობის უკუღმართობის მსპობელმა ძალამ დაგვანახვა ჩვენი ყალბი ნიადაგი, დაგვანახვა მძინარე და განებივრებული აზნაური, ბავშების გამოუკუღმართებელი მასწავლებელი, ხალხის გამყვლეფი ადვოკატ.., ხალხის სისხლის მსმელი ექიმი, ოცი რიცხვის შემყურე მუქთა ხორა მცონარე მოხელე. აი ეს ძლიერი სარევოლიუციო ძალა შეეხმაურა ყველას და გამოუცხადა: ან შეეწყვეთ ახალს ცხოვრებას, დასტოვეთ უკუღმართი დრო და ან მთლად ერთიანად გაგანადგურებთო. ნუ გვაქვს იმედი, რაც დღეს მთავრობას ხელიდან გამოვგლიჯეთ, მტკიცედ დაფუძნდება, თუ თვით რევოლიუციამ ბოლომდე არ გაჰკაფა ცხოვრების გზა, თვით არ დაიმყარა სრული პოლიტიკური მოქალაქობრივი თავისუფლება. ძალიან შემცდარნი არიან ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ ყველაფერი დასრულდაო. მათ არ იციან, რა არის რევოლიუცია. რევოლიუციონური კრიზისი არ დამთავრდება მანამდე, ვიდრე იგი თვის ქარცეცხლში არ მოიმწყვდევს ყველას და არ მოსპობს მათ, ვინც დღეს წინააღმდეგია პროგრესიულ ძალებისა. ჩვენ კიდევ რიღაცის იმედი გვქონია, ჩვენ მანიფესტის დიდი რწმენა გვქონია, ჩვენ კიდევ იმედი გვაქვს ვიტტესი, ნამესტნიკისა და სხვათა, ვფიქრობთ, დეპეშები გვიხსნიანო. შორს ყოველივე ამგვარი ჩვენგან! ჩვენ თვალი უნდა გავუსწოროთ სინამდვილეს და შევიგნოთ, რომ ბედნიერება, თავისუფლება ჩვენვე უნდა მოვიპოვოთ და ცხოვრებაში განვახორციელოთ. გაუმარჯოს იმ რევოლიუციის ქარ-ცეცხლს, რომელიც გადაგვხარშავს და ყველას ერთად შეგვამზადებს საბრძოლველად! (ძლიერი და ხანგრძლივი ტაშის ცემა).

ხმ. თავ. ჩოლოყაშვილმა წინადადება მისცა საბჭოს, შესწყვიტოს სხდომა და მიტინგი გამართოს. თავმჯდომარემ და სხვებმაც შეუძლებლად სცნეს საბჭოს სხდომის მიტინგად გადაქცევა, რადგან ამისათვის საჭირო იქნებოდა ნებართვის აღება. ხმ. ხატისოვმა ვრცელს სიტყვაში დამსწრეთ სთხოვა ნება მისცემოდა ხმოსნებს ოფიციალურად სხდომის გაგრძელებისა, რომ დამსწრეთა თვალწინ გამორკვეულიყო ხმოსანთა პოლიტიკური ფიზიონომია, რაც საჭიროა საერთო მოქმედების შესათანხმებლად.

აღტაცებულის ტაშის ცემით მიეგებნენ ყველანი ერთს ორატორს, ტომით თათარს, რომელმაც განაცხადა, რომ ხმები თათრების სომხებზე თავდაცემისა გავრცელებულია ბნელ ძალების მიერ. მაგრამ ისინი ძალიან ტყუვდებიან, რადგან თათრებმაც გაიგეს საქმე რაშია, ისინიც გამოიფხიზლდნენ, თუმცა ისე ვერა, როგორც ჩვენი მეზობლები. მიზეზი ის არის, რომ ეს ხალხი სრულიად განზე იყო აქამდე, მათთვის არც სკოლები, არც სხვა რაიმე განმანათლებელი დაწესებულება არ არსებობდაო.

საბჭო შემდეგ შეუდგა ქალაქის მოურავის მოადგილისა და თავ. ა. მ. არგუთინსკის მოხსენებათა განხილვას. იგი შეეხება სახელმწიფო საბჭოს დეპუტატთა ამოსარჩევად ხიების შემზადებას. თავ. არგუთინსკის წინადადებით უნდა შესდგეს ბიურო, რომელმაც უნდა მოახდინოს აღწერა იმ მცხოვრებთა, რომელთაც უფლება ექნებათ საყოველთაო საარჩევნო კრებებში მონაწილეობის მიღებისა.

საყურადღებო სიტყვა წარმოსთქვა ხმ. ა. მ. არგუთინსკიმ მანიფესტის შესახებ. ხმოსანმა კარგა ხანს ილაპარაკა და, სხვათა შორის, სთქვა: მანიფესტი დიდებული აქტია რუსეთის აწინდელ ცხოვრებისთვის, მაგრამ იგი მხოლოდ პირველი ნაბიჯია.. იგი ჯერ ქაღალდზეა მხოლოდ დაწერილი და ეჭვს გვიბადებს, რომ გულწრფელია იგი. ერთი ხელით თავისუფლება მოგვცეს, მეორეთი თოფებს, ზარბაზნებს გვიმზადებენ. მესამე დღესვე შეადგინეს ხულიგანთა პარტია და საშინელ სისხლის ღვრას შეუდგნენ მე არა მწამს ასეთი თავისუფლება. საბჭომ უნდა სთქვას, რომ სრული თავისუფლება გვექნება მხოლოდ მაშინ, როცა თავდაცემისა და განადგურებისაგან უზრუნველყოფილნი ვიქნებით. ჩვენ დავიჯერებთ მანიფესტს მაშინ, როცა დასჯიან მთავრობის წარმომადგენელთ უმოქმედობის გამო აღმოსავლეთ კავკასიაში, როცა აილაგმება თვითნებობა დასავლეთ საქართველოში. როგორც ვიცით, მთავრობამ ტყვიის მტყორცნელები, ზარბაზნები და ჯარი დარაზმა გურიის ასაკლებად და მერე განა რა აქვთ საბუთად ასეთის მოქმედების გასამართლებლად. გურიის მოძრაობა რუსეთის საზოგადო განმათავისუფლებელი მოძრაობაა. ჩვენ არ უნდა ვიწამოთ ეს თავისუფლება მანამდის, სანამ უზრუნველყოფილი არ იქნება კეთილი და პატიოსანი სახელი თვითეულ მოქალაქისა თავდაცემისა და დახოცვისაგან. აქ, ტფილისში, იმაზე მეტი ჰქნეს, რასაც წინად შვრებოდნენ. უიარაღო ხალხს დაჭრა და დახოცვა აღარ აკმარეს. მკვდრებს სძარცვავდნენ. ბევრს თითები მოსჭრეს და ბეჭდები წაიღეს. ფეხსაცმელები გაუხდიათ, საათები აუგლეჯიათ. გიმნაზიაში პატარა ბავშვებს დაერივნენ, რედაქციები აიკლეს და სხვა. დასასრულ ხმოსანმა წინადადება მისცა საბჭოს, 22 ოქტომბერს დახოცილთა სახლობების შემწეობისთვის 3000 მანეთი გადასდოს და მოითხოვოს სასტიკი გამოძიება. დაუყონებლივ გადაყენებულ იქმნან ყველა ისინი, რომელთაც სისხლის ღვრა მოახდინეს.

საბჭომ 29 აგვისტოს და 22 ოქტომბრის დახოცილ-დაჭრილთა პატრონის შესაწევად 10,000 მან. გადასდო.

პატარა ფელეტონი

მშვიდობით, მშვიდობით!..

მშვიდობით, სიტყვის დარაჯო და აზრის ჯალათო!..

მახსოვს შენი თავ-დაუჭერელი, სამარცხვინო თარეში აზრთა სამეფოში და არასოდეს არ დამავიწყდება.

რა არის შენს ჯალათობასთან შედარებით ფეხში გაყრილი ბორკილი, შანთი და მარწუხი, ხუნდი და საპყრობილე?!.

ენას ჰკვეთდი ადამიანს, აზრს გონებაშივე უხლუნგებდი, სურვილს დაბადებისთანავე უკლავდი.

შენს უკუღმართს თავ-გასულობას არც ზომა ჰქონდა, არც საზღვარი.

გაიხსენე, რამდენჯერ შეგიღებავს წითელის მელნით ადამიანის გონების ნაწარმოები, მისის გულიდგან აღმონახეთქი სამართლიანი სურვილით მისი სულთა სწრაფვა!:.

გაიხსენე რამდენჯერ გაგიკაწრავს შენის წითელის კალმით ამ გაზეთისათვის შავის ასოებით ამოწყობილი ადამიანის გონების ნაწარმოები, მისთა აზრთა დანაბადი!..

უსამართლობისაგან მდრტვინავს აზრს, სიმართლისა და ჭეშმარიტების მაძიებელს ღაღადისს, თავისუფლების სურვილის გამომთქმელს, შენი წითელი კალამი გულს უგმირავდა და მისთა ჭრილობათაგან სისხლი წითლად გადმოსჩქეფდა.

აზრი დაბადებისთანავე იკვლოდა და მის მკვლელად, მის ჯალათად შენ იყავ ძალ-მომრეობით დადგენილი!

მამას შვილს უკლავდი და მის პატრონს, ჭირისუფალს თავისის ნაშობის დამარხვის, გამოგლოვისა და გამოტირების ნებასაც არ აძლევდი.

ნეტა ვინ დააწესა ცენზორთათვის წითელის მელნის ხმარება!.. ვინ შეუფერა ასე გონება მახვილად ადამიანის სისხლის ფერს სიტყვად ქცეულ აზრის მკვლელი მელანი!..

ახალ დაბადებულთა სიკვდილი მხოლოდ იროდისაგან ახსოვს კაცობრიობას და აი, შ, შენ იყავ აზრთა იროდი ჩვენს სამეფოში!..

გაიხსენე შენი ავ-კაცობა და შენ მიერ ხმარებულ საჯალათო მელანსავით წამოწითლდი. გაიხსენე, შენმა აღვირ-აშვებულმა და თავ-დაუჭერელმა თარეშობამ რამდენად დასწია უკან მთლად რუსეთის და კერძოდ საქართველოს ცხოვრება, რამდენად დააქვეითა იგი განვითარებისა და განათლების მხრივ, რამდენს დიდებულს აზრს გაუთხარა სამარე!..

მთელი შენი ღვაწლი ომი და ბრძოლა იყო მწერალთან, გაზეთის მუშაკთან, მის აზრთან.

საბრალო გაზეთი და მისი მუშაკი!

ისე იყო ყოველი ჩვენგანი შენგან დამონებული და დაბეჩავებული, რომ ადრევე, ჯერ წერას არ შესდგომოდა, იმასა ჰფიქრობდა,— ისე დავწერო, რომ ცენზორის მსახვრელი ხელი არ მოხვდეს და არ ინაცვლოსო.

აზრს, სპეტაკსა და ჭეშმარიტს, წყვდიადისა და გაუგებრობის ბურუსში ჰხვევდა, რომ შენის ბრჭყალებისაგან დაეხსნა როგორმე, მაგრა ჯაშუშსავით დაძვრებოდი სტრიქონსა და სტრიქონს შუაც-კი, მწერალს გამოუთქმელს, დაუწერელს განზრახვასაც-კი უშიგნავდი და ბურუსში, ბნელში გახვეულს აზრს ბოლოს უღებდი.

აზრს ვიღა სჩივის, სიტყვის ხმარებაც აღკრძალული იყო შენგან. გახსოვს, ერთს დროს „საქართველოს“ ხსენებაც-კი აღკვეთე და ყველგან, „საქართველოს“ ნაცვლად, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიას გვაწერინებდი,—საქართველო აღარ არის, ეხლა მხოლოდ ორი გუბერნიაა რუსეთის იმპერიისაო.

ჩინეთის ბოგდიხანს, იაპონიის მიკადოს, თვით ოდესმე ძლევა-მოსილს ბისმარკსაც-კი კალმით ტყავს ვაძრობდით და შენის შიშით „გოროდოვოის“ უწესოებაზედ, პოლიციელის მექრთამეობაზედ კრინტი ვერ დაგვეძრა.

გაიხსენე რამდენს უკუღმართობას მთავრობის მოხელეებისას აფარებდი მფარველობის კალთას და გამოუქვეყნებელს, გამოუაშკარავებელს სტოვებდი.

პოლიციას ცუდი სახელი გაუვარდება, მთავრობის მოხელეს აბრუ გაუტეხდებაო, თითქოს ცუდი საქციელი, უსამართლობა, უკანონობა უფრო სახელ-გასატეხი არ არის, ვიდრე მისი გამოქვეყნებაო!..

აზრის მკვლელო ჯალათო, მითხარ რას ემსახურებოდი?!.

აზრსა ჰკლავდი, მაგრამ ვერ მოჰკალ!

გაიგონე სიტყვისა და აზრის თავისუფლების ხმა?..

ვერც ეხლა მიხვდები, რომ აზრი უკვდავია და მისი შებორკილება არავითარს ძალას არ შეუძლიან?!.

მოგესმა განთავისუფლების, აწ მოქალაქედ ქცეულის მონის ძლიერი ვაშას ძახილი!..

დაჰბერა ახალმა სიომ და თან წაგიღო!

შენ ეხლა, ამ ბედნიერ მომავალ დღეების დროს, უკვე სამწუხარო წარსულს ეკუთვნი.

მშვიდობით!

წინ წყალი და უკან მეწყერი!

წასვლა შენი და უკან არ დაბრუნება!

მშვიდობით!.. **დიოგენი**

ის დარაჯებს, მოეკლათ ორი და დაეჭრათ. ნამდვილი ჯერ არავინ .

ოქტომბერი. ქუთაისში ამ დღეს პი- ე გაალეს მაღაზიები, ეტლები სამუ- გამოვიდნენ, ქალაქს სიცოცხლე და- ფედერალისტების მიტინგზე დასას- ად მრავალი ხალხი შეიკრიბა ბულ- მიტინგის ინიციატორებმა გაღებულ ების პატრონებს შუადღემდის ვაჭრო- ერება მოსთხოვეს. მოთხოვნა ასრუ- ლ იქმნა.

საათზე ბულვარის მოედანზე კრება დემოკრატებმა ხელს უშლიდნენ. ყვირილი. შეკრებილნი ერთმანეთს უძახოდნენ. ფედერალისტები ბულ- ან გავიდნენ და ეკკლესიის კარებთან მნენ, დემოკრატები თან გაჰყვნენ; ის ერთმა ინიციატორმა სიჩუმე ჩა- , დაასახელა თავმჯდომარე, ორა- ი და დამსწრეთ წინადადება მისცა, ურს ლაპარაკი, ჩაეწერეთო. თავ- არემ ადგილი დაიჭირა. პირველად ლებულმა ორატორმა ლაპარაკი დაი- დემოკრატებმაც წამოაყენეს თავისი ორი. შეიქნა ყვირილი და აურ-ზა- ფედერალისტებმა ნება არ მისცეს ლა- ა. მაშინ დემოკრატებმა მიანებეს ეკკლესიის მოედანს და ბულვარში და- ნენ, საცა თავისი კრება გამართეს. ილი ხალხი შუაზე გაიყო.

ხველი ჰხედავს, რომ ჩვენმა დასე- ეხლაც არ უღალატეს თავის ტაქ- წინა დღეს მათი კრება იყო. ხელი შეუშლია. მოინდომეს სხვებმა ამ კრების გამართვა, მაგრამ მათ ხელი ეს. ასე ესმით სიტყვის თავისუფლება. იქამდის მივიდა, რომ ტრიბუნაზე ნადვე დასახელებული ორატორი დემოკრა ებმაც თავისი ორატორი მხარზე და ლაპარაკს ლამობდა. ამან აავსო მოთმინების ფიალა ფედერალისტებისა და სამი წილი ყიჟინით და ყვირილით გააჩუმეს ორატორი.

დასელები მიხვდნენ, რომ ძალით ვერაფერს გაიტანდნენ და ისევ გაემართნენ ბულვარისაკენ, საცა თავის კრებაზე ფედერალისტებს ყოველის მხრით წეწდნენ.

გაათავა უკანასკნელმა ორატორმა თავისი სიტყვა. შეკრებილთ დროშა ამართეს და სიმღერით გასწიეს ბულვარისაკენ, რომელსაც რამდენჯერმე შემოუარეს და დაიშალნენ. საზოგადოებას დიდი აღფრთოვანება ეტყობოდა. იმედი უკეთესი მომავლისა გაორკეცდა.

დამავიწყდა ერთი საყურადღებო გარემოება: კრების დროს და გათავების შემდეგაც გუბერნატორი ხალხში იყო; რამდენჯერმე ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილ ხალხში ჩაერია და ბაასი გამართა. გუბერნატორმა უთხრა შეკრებილთ, რომ პროტესტმა და დემონსტრაციებმა მანიფესტის შემდეგ ადგილი უნდა დაუთმოს მშვიდობიანსა და შემოქმედებით შრომას; ეს ეჭირვება, ხალხს, რომელიც ხანგრძლივმა ბრძოლამ დაღალა და ეკონომიურად დააქვეითაო.

21 **ოქტომბერი**. რკინის გზის მოძრაობა დღესაც არ განახლებულა. ყოველ მხრიდან მოდის ერთი მეორეზე უსაშინლესი ამბავი. ქუთაისის ჭორებს რომ კაცმა დაუჯეროს, გურიაში ეხლა ომია გამართული მცხოვრებთა და ჯარს შორის. ამ გარემოებამ და იმანაც, რომ ტელეგრაფი შესწყდა, ადგილობრივი ადმინისტრაცია აიძულა რკინის გზის ლიანდაგის დასაცველად და „აჯანყების“ მოსასპობლად გაეგზავნა ქუთაისიდან ხუთი როტა, რომელნიც ქუთაისიდან 20 ოქტომბერს გაემგზავრნენ ორ წყებად. პირველმა ეშელონმა შუა დღის პირველ საათზე მშვიდობით გაიარა გზა ქუთაისიდან სამტრედიამდე და თავის საქმეს შეუდგა. მეორე ეშელონი გაემგზავრა ქუთაისიდან ნაშუადღევის 3 საათზე და არ გასულა საათ ნახევარი, რომ ქუთაისში ელვასავით გავარდა ხმა—სამხედრო მატარებელი ქუთაისიდან 4 ვერზე გადაიჩეხაო.

საღამოს პირას, როცა დაშავებულთა სა შველად წასულნი დაბრუნდნენ, აღმოჩნდა მოკლული ჯარის კაცი რვა, მძიმედ დაჭრილი ოცდა შვიდი, ხოლო ოცდა მერვე —ეშელონის უფროსი პოდპოლკოვნიკი აბაზაძე. მსუბუქად დაჭრილთა რიცხვი ჯერ გამორკვეული არ არის, ხოლო, დამსწრეთა სიტყვით, საკმაოდ ბევრია.

ამავე საღამოს შევიტყეთ, რომ გადარჩენილ ჯარის კაცებს, გონზე მოსულან თუ არა, სროლა აუტეხნიათ ვიღაცეების წინააღმდეგ, რომელნიც თურმე რიონისაკენ გარბოდნენ. ამ დროს ჯარის კაცებს მიჰშველებიან ქუთაისიდან გაქანებული ყაზახები და დაუჭერიათ რვა კაცი. დამნაშავენი არიან თუ არა ესენი, არავინ იცის, ჯერ-ჯერობით კი ესენი სატუსაღოში ჩასხეს. დღეს დილას წავიდნენ ადგილობრივ გამოსაძიებლად პროკურორი და მისი თანაშემწენი, ქუთაისის ჯარების უფროსი, გენერალი შიშკოვსკი, გუბერნატორი, მაზრის უფროსი და სხვანი. ათის ნახევარზე მატარებელი გაჩერდა და ყველა ჩვენ გავეშურენით დანგრეულ სამხედრო მატარებლისაკენ. ძნელი წარმოსადგენია ის სურათი, რომელიც ჩვენ თვალ-წინ გადაიშალა: თოთხმეტ ვაგონიდან, რომლებიც ლიანდაგზე ჰყრია, მარტო სამი სდგას გოგრებზე, ორი ნაფოტად არის ქცეული და დანარჩენი ზოგი პირქვეა დამხობილი და ზოგიც გვერდზე აყირავებული.

გამოძიებამ გამოარკვია შემდეგი: რომ მიახლოვებია მატარებელი იმ ადგილს, საცა ეს ამბავი მოხდა, ორთქლმავალსა და ორ ვაგონს მშვიდობით გაუვლია, მესამე სახალხო დიდი ვაგონი, საცა აფიცრები ყოფილან დაბინავებულნი, ლიანდაგს გადაცილებულა და გადაბრუნებულა, მას თან მიჰყოლია ბარგის ვაგონები, საცა ჯარის კაცები ყოფილან. რადგან ორთქლმავალი სიმძიმის გამო შეჩერებულა, უკნიდან მომავალი ვაგონები ერთი მეორეს დასჯახებია და შუა ვაგონები დაუმსხვრევია. როგორც მატარებელში მყოფი აფიცრები ამბობენ, გაჩერებულა თუ არა მატარებელი, რიონის პირიდან სროლა ატეხილა. ჯარის კაცებს სროლითვე უპასუხნიათ, რიონის პირად ორი კაცი მოუკლავთ, დანარჩენები კი, როგორც ზემოთ ვთქვით, დაუტუსაღებიათ.

რამდენად მართალია ის გარემოება, რომ ვითომ ხალხმა სროლა დაუწყო ვაგონებს, ძნელი სათქმელია, მხოლოდ მართალია ის გარემოება, რომ ვაგონების კედლებში ტყვიის ნაალაგებია. ნასროლია შორიდან ის ტყვია, თუ სალდათებს გაუვარდათ არეულობის დროს, გამორკვევა ამისა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. საყურადღებო ის არის, რომ ყოველი ნიშნებით ტყვია ვაგონის შიგნითა კედელს მოჰხვედრია და გარედ არის გავარდნილი. რა მდგომარეობაშია ვაგონის მეორე მხრის კედლები, ამისი თქმა შეუძლებელია, რადგან ვაგონები ჯერ-ჯერობით ამ გვერდზე ჰყრია მიწაზე. რელსიდან ამოღებული ვინტები თავის ქახრაკებით და რელსის „ნაკლადკა“ ცოტა მოშორებით ეყარა. ცოტა მოშორებით იპოვნეს აგრეთვე ქუდი, რომელსაც ატარებენ რკინის გზის დაბალი მოსამსახურეები.

23 **ოქტომბერი**. ქუთაისში კარგა ხანია ხმა დადიოდა, რომ გურიაში საშინელი ამბავი მოხდაო. ზოგი იმას გაიძახოდა, რომ ჩოხატაურის პოსტის პოლიციის დარაჯები დახოცეს და ბოქაული გაგუა დაატყვევესო, ზოგი ამბობდა, რომ ოზურგეთში დაბანაკებულ პლასტუნების ბატალიონი განსაცდელშია და საომრად ემზადება ხალხთანაო და სხვა.

ნამდვილის გაგება არ შეიძლებოდა, რადგან რკინის გზის მოძრაობა შეჩერებული იყო და ტელეგრაფი აღარ მოქმედობდა. დაინტერესებულმა კერძო პირებმა საგანგებო შიკრიკები გაგზავნეს გურიაში და შემდეგი ამბავი მოიტანეს: უცნობი კაცები იარაღის წასართმევად პოლიციის სტრაჟნიკებს თავს დასცემიან, მოუკლავთ ორი და დაუტყვევებიათ ბოქაული. მაზრის უფროსი ლაზარენკო ოზურგეთიდან ამ ამბის გასაგებად წასულა ჩოხატაურში და თან წაუყვანია ასი პლასტუნის ყაზახი. რა მოხდა ჩოხატაურში, რამდენ ხანს დარჩა მაზრის უფროსი ჯარით იქ, დანამდვილებით არავინ იცოდა. ხალხში ორნაირი ხმა დადიოდა: ზოგიერთის სიტყვით, ლაზარენკომ ჩოხატაურში დაჰყო სამი დღე, რომლის განმავლობაში კაცი არ მიჰკარებია. მესამე დღეს აიყარა ლაზარენკო ჯარით, თან წაიყვანა ადგილობრივი მომრიგებელი მოსამართლე პეკარსკი ცოლ-შვილით და გასწია ოზურგეთისკენ. გაუვლიათ ნაგომარი და ნასაკირალს რომ მიახლოვებიან, იქ ოთხი ყუმბარა უსროლია ვიღაცას იმ დროს, როცა დასასვენებლად ერთ ადგილას დადგნენ, და რვა ყაზახის გარდა ყველა დახოცილან. მეორენი კი ამბობენ, რომ ვითომ ხალხმა ხიდს კოჭები დაუხერხა, და როცა ჯარი და მაზრის უფროსი შედგნენ ზედ, ხიდი ჩაიქცა და ამ დროს მახლობლად მიმალულმა ხალხმა თოფები და ყუმბარები დაუშინაო. ნამდვილი ამბავი არავინ იცოდა.

25 **ოქტომბერი**. გუბერნატორმა მიიღო ნამესტნიკის დეპეშა. ატყობინებდა, რომ ქუთაისის გუბერნიაში შემოღებულ იქმნა სამარ დროის წესები, გენერალ-გუბერნატორად ინიშნება გენერალი შიშკოვსკი, ხოლო გურიის ჯარის უფროსად გენერალი აღიხანოვიო. ეს ხმა უცებ მოეფინა ქუთაისს და უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზედ. როგორც ამბობდნენ, გუბერნატორი სამსახურიდან გადადგომის დეპეშას უგზავნიდა ნამესტნიკს, სწორედ ამ დროს მოვიდა დეპეშა ნამესტნიკისა, რომელიც ატყობინებდა, რომ დროებით შეჩერებულ იქმნა სამარი წესებიო.

კლდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქოელ ორგანიზაციების მოწოდება *)

ამხანაგებო და მოქალაქენო!

უკვე რამდენიმე დღეა, რაც ჩვენი ქალაქი ულიგანების განკარგულებაშია, რომელნიც მცხოვრებთა ნაძირალებისაგან შესდგება.

ცეცხლის წაკიდება, ძარცვა, ჟლეტა ხელ-შეუშლელად ხდება ადმინისტრაციის თვალ-წინ და არა თუ იწვევს წინააღმდეგობას, იმის დახმარებითაც კი სარგებლობს. ჯარი, ხულიგანების წინამძღოლობით და მათთან ერთად, თოფების და ზარბაზნების სროლით ანადგურებს მშვიდობიან მცხოვრებთა სახლებს, სახლში უვარდება და დაუნდობლად ხოცავს უპატრონოდ დარჩენილ მცხოვრებთ. ჩვენ ვთვლით, რომ ხულიგანების და იმათი მომხრენი პატრიოტული გრძნობების ასე მხეცურად გამოხატვით განაგრძობენ საზიზღარ რეაქციის იმ განმათავისუფლებელ მოძრაობის წინააღმდეგ, რომელიც მთელ რუსეთს მოედო და მოდის ძლიერ ტალღასავით, რომ წალეკოს საბრალო ნაშთები თვითმპყრობელობისა. ამიტომ ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერთ, ქ. ბაქოს ორგანიზაციებმა გადავწყვიტეთ: შევადგინოთ **სარევოლიუციო კოალიციური კავშირი**. აზრი ამ კავშირისა საერთო საბრძოლველ ორგანიზაციის შედგენაა, რომ, რათაც უნდა დაგვიჯდეს, ჩავაქროთ ხულიგანების რეაქცია.

ამის მისაღწევად კოალიციური კავშირი არ მოერიდება არავითარ საშუალებას: იხმარებს იარაღს, ყუმბარებს და დაუნდობელ ტერრორს იმ პირთა მიმართ, რომელნიც პროვოკატორობას იკისრებენ და რეაქციონურ ელემენტებს წინააღმდეგობას გაუწევენ.

ვაუწყებთ რა ამას მოქალაქეთ, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ხალხი თანაგრძნობას გამოგვიცხადებს, მხარსაც დაგვიჭერს იმგვარ მოქმედებაში, რომელსაც იძულებულნი ვართ მივმართოთ რეაქციისა და იმის მხეცურ გამოხატულების ჩასაქრობად.

1. ბაქოს კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პარტიისა,
2. კავშირი ბაქოს მუშათა რ. ს.-დ. მ. პ.,
3. სოციალ-დემოკრატ. სომხ. მ. ორგანიზაცია,
4. სოციალისტ-სიონისტთა პარტია,
5. სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია,
6. ბაქოს კომ. სომხ. სარევოლიუციო პარტიისა „დაშნაკციუთუნ",
7. ბაქოს კომხ. სომეხთა სოც.-დ. პ. „ჰნჩაკისტებისა",
8. მაჰმადიანთა სარევოლიუციო პარტია „იფტიფაკი" და
9. მაჰმადიანთა სოც.-დემოკ. პარტია „ჰუმეტი".

რუსეთი

გაზეთი „ნაშა ჟიზნი" სარწმუნო წყაროებიდან იუწყება, რომ რუსეთის მთავრობას 22 ოქტომბერს საერთაშორისო ტელეგრაფით გაუგზავნია უცხოეთის გაზეთებში დასაბეჭდად შემდეგი განცხადება: „მთავრობა ღრმად სწუხს მომხდარ უწესოებათა გამო და შეწუხებული მიიღებს ყოველ განცხადებას მათ შესახებ; იგი არ უარჰყოფს, რომ უწესოებაში მონაწილეობა მიიღეს მმართველობის ზოგიერთმა აგენტებმა, რომელთაც კარგად ვერ შეიგნეს 17 ოქტომბრის უმაღლეს მანიფესტის აზრი და განიზრახეს მხურვალე პატრიოტულის გრძნობით დაეცვათ ტახტი ვითომ უზურპატიისაგან. მმართველობა ყოველ ღონისძიებას იხმარს, რათა ახსნილ იქმნას ჭეშმარიტი აზრი რეფორმისა და სასტიკად დასჯის ყველას, ვინც-კი ძალმომრეობას გამოიჩენს რეფორმის მომხრეთა მიმართ".

ამნისტია და პოლიტიკური დამნაშავენი. როგორც „სინ ოტეჩესტვა" გადმოგვცემს, ამნისტიის ძალით არ განთავისუფლდებიან ცნობილი მოღვაწეები და წამებულნი ხალხისთვის შლისელბურგის ციხეში მჯდომნი: კარპოვიჩი, გებშუნი, საზონოვი და სიკორსკი, მაგრამ მათი სასჯელი რამდენადმე შემსუბუქებულ იქმნება. რაც შეეხება ძველ ნაროდოვოლცებს, იმათგან ციხეში ზის რვა კაცი. აი იმათი გვარები: პოპოვი, ფროლენკო, მოროზოვი, ლოპატინი, ანტონოვი, ივანოვი, ნოვორუსსკი, ლუკაშევიჩი. ამათგან სამი უკვე 26 წელიწადია, რაც ციხეში ზის. დანარჩენთაგანნი ზოგნი დახვრიტეს (მიშკინი და მინაკოვი), ზოგი გარდაიცვალა ჭლექისა და სხვა ავადმყოფობისაგან (იურკოვსკი, ბუცინსკი). ზოგნი ჭკუაზე შეიშალნენ (შჩედრინი). ამათგან მთავრობა ყველაზე მეტ მნიშვნელობას ლოპატინს აძლევდა. და ეს მართლაც შესანიშნავი კაცი იყო. გარდა თავის პრაქტიკულ მოღვაწეობისა, ლოპატინი ცნობილია, როგორც პირველი მთარგმნელი რუსულ ენაზე კარლ მარქსის „კაპიტალის" პირველ ტომისა. იგი კარგი მეგობარი იყო კარლ მარქსისა და ლავროვისა.

მუშათა წარმომადგენელთა არჩევნები. „ნ. ვ."-ს სიტყვით, არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში მუშათა წარმომადგენლებისა შემდეგის წეს-რიგით მოხდება: თვითეული ქარხანა, სადაც ას მუშაზე ნაკლები არ არის, აარჩევს ერთ ამომრჩეველს. ამ გვარად ამორჩეულნი მივლენ პეტერბურგს და ოც წარმომადგენელს აირჩევენ. ამომრჩეველთა რიცხვში არ იქნებიან ის მუშები, რომელნიც მხოლოდ რამდენსამე თვესა მუშაობენ ქარხნებში და დანარჩენს დროს მიწის დამუშავებას ანდომებენ.

ვიტტე განსაცდელშია. ხმა დადის, ვითომ სარევოლიუციო ორგანიზაციები ძალიან სცდილობენ ვიტტეს დაცვას, რადგან შესაძლებელია პროვოკატორებმა მისი მოკვლა განიზრახონ, რათა განმათავისუფლებელი მოძრაობა შეაყენონ და პასუხის გება-კი რევოლიუციონერებს მოახვიონ თავზე.

სახელმწიფო სათათბირო, რომელიც მოკლე ხანში უნდა მოიწვიონ, როგორც მთავრობის წრეებში ამბობენ, ხან მოკლე იქნება, რადგან მისი როლი იქნება ისეთივე, როგორიც დამფუძნებელ კრებას უნდა ჰქონოდა: პირველი მისი მოვალეობა იქნება კონსტიტუციის წესების შემუშავება. ამის შემდეგ მთელ სათათბიროს დაითხოვენ და ახლად არჩეული სათათბირო განახორციელებს კონსტიტუციას. გადადგება სამსახურიდან მინისტრთა კომიტეტიც და საქმეების გაძღოლა ახალ კომიტეტს გადაეცემა.

ყაზახ აფიცრის წერილი. „რუსკოე სლოვო"-ში შემდეგი საყურადღებო წერილია დაბეჭდილი; „საშინელი სულიერი დრამა გამოვიარე; აღარა მაქვს ძალა, რომ სინიდისის წინააღმდეგ წავიდე და სამსახურს თავს ვანებებ. ამასთანავე ვითხოვე, რომ ამომრიცხონ ყაზახების სიიდან. ესაული პეტრე ილჩენკო".

გლეხთა მოძრაობა. მოსკოვში მისულა ცნობები, რომ ვოლგის რამდენიმე გუბერნიაში მეტად სერიოზული მოძრაობა დაწყებულა გლეხთა შორისო.

მოსკოველ მეფაბრიკეების უმრავლესობას გადაუწყვეტია დაუთმონ თავიანთ მუშებს ბინა ყოველგვარ კრებების გასამართავად.

პროვოკაცია ვარშავაში. პოლიციის აგენტებმა ვარშავაშიაც სცადეს ებრაელების დაწიოკების გამართვა, მაგრამ აქამდე ვერას გახდნენ. ბევრს მათგანს ცუდი დღე დააყენეს ვარშაველებმა პირდაპირ ქუჩაზე. 24 ოქტომბერს მარშალკოვსის ქუჩაზე ხანჯლით მოჰკლეს ერთი პროვოკატორი, რომელიც იწვევდა ხალხს ებრაელების დასაწიოკებლად; მისი ამხანაგი ხალხისავე მოთხოვნით იქვე დააპატიმრეს. ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა პროკლამაციები გამოსცეს დაწიოკების და ეროვნულ მტრობის წინააღმდეგ. გაზეთი „ნოვინი" ულოცავს ვარშაველებს ასეთ კეთილ გონიერებას და ამბობს: შავ რაზმელებს იმედი გაუცრუვდათ—ვარშავა არც როსტოვია და არც კიშინოვი. თუ პროვოკაცია არ შესწყდა, გადაწყვეტილი აქვთ ბენზინი შეასხან პროვოკატორს და ცეცხლი წაუკიდონ, რომ შეაშინონ შავი რაზმელები.

რუსეთის ფინანსები და ეხლანდელი მდგომარეობა. რადგან რუსეთის მთავრობის ფინანსები უკიდურესს მდგომარეობაშია და ამ მოკლე ხანში-კი იაპონელებს ტყვე ჯარის-კაცების შენახვის ფული უნდა გადაუხადონ, ფინანსთა სამინისტროს მიუმართავს მენდელსონისათვის და მოკლე ვადიანი სესხი უთხოვია 10 პროცენტად (7 წლიური და 3 საკომისიო). მიუხედავათ ასეთ დიდ, თითქმის უმაგალითო, სარგებლისა, მენდელსონი იძულებული გამხდარა უარი ეთქვა სამინისტროსათვის: გერმანელ ბანკირებს უთქვამთ, რომ არ შეუძლიათ რუსეთის მთავრობის საფინანსო ოპერაციების ასრულება, სანამ სრული მშვიდობიანობა არ დამყარდება რუსეთის იმპერიაში.

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 1 ნოემბერს. გამოცხადდა სამხედრო დებულება; ქალაქი დაშინდა.—საბჭომ ფეხზე ადგომით პატივი სცა ტფილისში 22 ოქტომბერს უდანაშაულოდ დახოცილთა და აგრეთვე სხვა ქალაქებში მოკლულთა ხსენებას. დაადგინა იშუამდგომლოს ნამესტნიკისა და ვიტტეს წინაშე სამხედრო წესების გაუქმებისა და იმის შესახებ, რომ გურიაში ჯარი არ გაიგზავნოს. გადასწყვიტა აგრეთვე შეაჩეროს საბჭოს სხდომები, სანამ სამხედრო მდგომარეობა არ მოისპობა. არჩეულ იქმნა ხმოსნებისაგან დეპუტაცია, რომელმაც გენერალ-გუბერნატორს უნდა სთხოვოს, დროებით შეაჩეროს გურიაში ჯარების გაგზავნა.

თელავი. მიტინგზე, რომელსაც დაესწრო აუარებელი ხალხი, დაადგინეს დეპეშები გაუგზავნონ ნამესტნიკს გრ. ვორონცოვ-დაშკოვს და გრ. ვიტტეს და სთხოვონ გურიაში შემოღებული საომარი დროის წესები გააუქმონ და ეგზეკუცია ახსნან ყველგან.

პეტერბურგი, 1 ნოემბერი. პეტერბურგში სარწმუნოთ ამბობენ, რომ გადაწყდა კავკასიაში საექსარხოსოს გაუქმება და იმის ნაცვლად დაარსება სამიტროპოლიტოსი ავტონომიურის უფლებით.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
31 ოქტომბერი.

პარიჟი, 30 ოქტომბერი. „ჟურნალ"-ის აზრით, რუსეთის ლიბერალური პრესსა მიუტევებელ შეცდომაში შედის, როცა მთავრობას არ უჭერს მხარს მღელვარებისა და არეულობის ჩაქრობის საქმეში. ვიტტემ საკმაოდ დაუმტკიცა ლიბერალებს თავისი გულწრფელობა. ყოვლად შეუძლებელია, რომ უთანხმოება მხოლოდ საყოველთაო საარჩევნო უფლების საკითხში იყოს, ვინაიდან რუსის ლიბერალებმა იციან, რომ ასეთი უფლება ჯერაც ვერ განხორციელებულა რუსეთზე უფრო კულტურულ ქვეყნებში, როგორიცაა, მაგალითად, ინგლისი. პრუსსია, ავსტრია შვეცია, ნორვეგია, უნგრეთი. ერთად ერთი ახსნა ლიბერალების ქცევისა იმაშია, რომ ისინი სოციალისტებს ემორჩილებიან. ასეთი მდგომარეობა საშიშაა თვითონ ლიბერალურ პარტიისათვის.

მინისტრთა საბჭოში გადაწყდა, რომ სამხედრო მინისტრის პორტფელს აიღებს ეტიენი, შინაგან საქმეთა სამინისტროსი—დიურიეფი, ვაჭრობისა—ტრულიე.

მოსკოვი, 30 ოქტომბერი. სრულიად რუსეთის რკინის გზების კავშირის ცენტრალურ ბიუროს თხოვნით გადაჭრით ირღვევა ის ხმა, ვითომც გზებს განზრახვა ჰქონდეთ ხელ-ახლა გაფიცვაზე.

მოსკოვი. მოსკოვში ტყუილი ხმები გავრცელდა, ვითომც არეულობა განახლდებაო. ამიტომ ბევრი საზღვარ-გარედ და ფინლიანდიაში მიდის. წავიდნენ ბევრი ებრაელები და უცხოელები. დღეს, 30 ოქტომბერს, მოსკოვის სხვა და სხვა ადგილებში მიტინგები გაიმართა, რომლებსაც განსაკუთრებით მუშები დაესწრო. მიტინგები შედგა ქალაქის მიერ დათმობილ შენობებში და საუცხოვო წეს-რიგით დასრულდა. რეზოლიუცია ეკონომიურ მოთხოვნებს შეეხებოდა.

კალიში, 30 ოქტომბერი. გუბერნატორმა სამხედრო წესები გამოაცხადა: ვინც სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს, იმას 3 ათასი მანეთით დააჯარიმებენ, ან სამის თვით ჩაამწყვდევენ სატუსაღოში. ამასთანავე გამოქვეყნებულ იქნა 17 ოქტომბრის მანიფესტის განმარტებანი, სადა სამხედრო წესებს ახასიათებენ, როგორც დროებით ზომას, რომლის მთავარი მიზანია, აღადგინოს უშიშრობა და სიმშვიდე და იმდენად არ შეავიწროებს მშვიდობიან მცხოვრებლებს.

ელისავეტგრადი, 30 ოქტომბერი. გაუქმებულ იქნა 6 საათის შემდეგ ქუჩებში გამოსვლის აკრძალვა, მაგრამ, თუ მყუდროება დაირღვა, ეს ზომა მაშინვე იქნება განახლებული.

ტოკიო. იაპონიის ესკადრა ად. ტოგოს მეთაურობით მარტის შუა რიცხვებში ინახულებს დიდს ბრიტანეთს.

ბათუმი, 31 ოქტომბერი. გაფიცვა გათავდა. მაღაზიები გაიღო, გამოვიდნენ მეეტლეები, სანოვაგე გაიაფდა.

კრასნოიარსკი. კონსტიტუციონალისტების აქაურმა ჯგუფმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა მოსკოვში გოლოვინს. „კონსტიტუციონურ-დემოკრატიულ პარტიის კრასნოიარსკის ჯგუფის საზოგადო კრება, აღიარებს რა, რომ მთავრობა, ვიტტეს ხელმძღვანელობით, უზრუნველ ჰყოფს ლეგალურ გზას 17 ოქტომბრის რეფორმების განსახორციელებლად, საჭიროდ სცნობს მხარი დაუჭიროს გრაფ ვიტტეს ამ გზით მუშაობას".

რიგა, 31 ოქტომბერი. გუშინ მყუდროება არ დარღვეულა. ძალმომრეობის მსხვერპლების დასაფლავება მშვიდობიანად მოხდა.

ქუთაისი, 30 ოქტომბერი. ხელ-ახალი გაფიცვა დაიწყო რკინის გზაზე.

პეტერბურგი, 31 ოქტომბერი. ამჟამად იუსტიციის სამინისტროში თავგამოდებული მუშაობაა პირადობის ხელუხლებლობისა და კავშირებისა და კრებების თავისუფლების კანონებზე.

პეტერბურგი, 31 ოქტომბერი. საშუალო სასწავლებლებში მეცადინეობა განახლდა.

ტოკიო, 31 ოქტომბერი. თუმცა ქალაქში სიმშვიდეა, მაგრამ სამხედრო წესები ჯერ კიდევ არ მოუხსნიათ. დააპატიმრეს პალატის პრეზიდენტი იონო, რომელმაც მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვა სამშვიდობო ხელშეკრულობის წინააღმდეგ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
31 ოქტომბერი.

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი დურნოვო დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრათ და მიენდო შეასრულოს შინაგან საქმეთა მინისტრი თანამდებობანი.

ქუთაისი, 30 ოქტომბერი. ქალაქის დ გუბერნიაში სამხედრო წესები გამოცხადდა.

ბახმუტი. დაარსდა კომიტეტი ჟლეტა-ხოცვისაგან დაზარალებულთათვის შემწეობის აღმოსაჩენად.

კობე, 30 ოქტომბერი. ტყვე-რუსთა პირველი ჯგუფი გუშინ ვლადივასტოკს წავიდა.

ლონდონი. გერმანიის კიაოჩაოელ გენ.-გუბერნატორსა და ჩინეთის შანდუნის ოლქი გუბერნატორს შორის საყურადღებო შეთანხმება მომხდარა, რომლითაც ქალაქი კაომი ექვს თვის განმავლობაში უნდა გასწმინდონ გერმანელებმა. კიაოჩაოდან გერმანელები აინვრამდ გაიყვანენ ჯარს, რის შემდეგ გერმანიის მიერ იჯარით აღებული ყველა მიწები და რკინის გზები ჩინეთს დაუბრუნდება უკანვე. გერმანიის ფოსტის განყოფილებანი შანდუნის ნახევარ კუნძულზე ჩინელების კუთვნილებად ჩაირიცხება.

ტამბოვი, 31 ოქტომბერი. ქალაქში სიწყნარეა. საღამოთი რკინის გზის ერთის მოსამსახურის ბინაზე ბომბამ იფეთქა ბინის პატრონის იქ არ ყოფნის დროს. მოკლულია ბავშვი და მძიმედ დაჭრილი ქალიშვილი. ბინის პატრონი დაიმალა. კირსანოვსკისა და ბორისოგლებსკის მაზრებში აგრარული მოძრაობა დაიწყო, რომელსაც ძარცვა და ცეცხლის წაკიდება მოჰყვა. ადმინისტრაცია და ჯარები ენერგიულ ზომებს ხმარობენ. უმეტეს შემთხვევაში დამნაშავეთ ატუსაღებენ და დაძარცვულ ქონებას უბრუნებენ კუთვნილებისამებრ. ტამბოვის გუბერნიაში გაძლიერებულ დაცვის წესები გამოცხადდა.

კრონშტადტი, 31 ოქტომბერი. ქალაქში სიმშვიდეა. არეულობაში დამნაშავეთ იჭერენ. ვლადიმერის ტაძარში იპოვნეს არეულობის დროს დაპარულ ნივთების მთელი ვეებერთელა საწყობი.

ბაქო, 31 ოქტომბერი. ქალაქში სიმშვიდეა. გენ.-გუბერნატორმა გააუქმა საღამოს 8 საათის შემდეგ ქუჩაში გამოსვლის აკრძალვა.

ბიხოვი. ქალაქში შიშიანობაა.

ლოძი, 31 ოქტომბერი. შესდგა ზეინკლებისა, მჭედლებისა და მეტალურგიის ფაბრიკების მუშების მიტინგი, რომელზედაც გადასწყვიტეს, ნუ განაახლებენ მუშაობას.—ადგილობრივ სასწავლებლებში გაკრულია განცხადება მზრუნველისა, რომ სასწავლებლებში შეწყვეტილია სწავლა, სანამ გაზეთებში არ იქნება გამოცხადებულიო. აქაურ ფაბრიკებისა და რკინის გზების გაფიცვა სულ-ერთიანად აკოტრებს როგორც მრეწველთ, ისე მცხოვრებთ.

ხარკოვი. აუარებელი ოჯახი სტოვებს ქალაქს და მიდის საზღვარ-გარეთ, სანამ ყველაფერი დაწყნარდებოდეს.

ბრესტ-ლიტოვსკი. თვით-დაცვის წყალობით ებრაელების დაწიოკება თავიდან აიცილეს.

ყაზანი. გაზეთები არ გამოდის ასოთ-ამწყობების გაფიცვის გამო. უნივერსიტეტს ჩამოაშორეს ჯარები.

პეტერბურგის ბირჟა 11 ოქტომბ. 1905 წ.

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,70
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,70
ბირჟის დისკონტი	5¹/₄—7⁰/₀
4⁰/₀ სახელმწიფო რენტა	87¹/₈
4⁰/₀ სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4¹/₂⁰/₀ შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4⁰/₀ გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	85,¹/₂
5⁰/₀ 1 შინ. სესხ. მოგ. ბილ. 1864 წ.	451¹/₂
5⁰/₀ მე-2 შინ. ეს. მომ. ბილ. 1866 წ.	346¹/₂
5⁰/₀ გირ. მომ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბან.	280
5⁰/₀ ობლ. ტფილ. საკრედ. საზოგად.	—
4¹/₂⁰/₀ ობლიგ. იმავე საზოგადოებისა	—
5⁰/₀-ანი ობლ. ბაქოს საკრედ. საზოგ.	—
5⁰/₀ გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4¹/₂⁰/₀ გირვ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6⁰/₀ გირ. ფურც. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5⁰/₀ გირავ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ს. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	200

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

---

*) ეს მოწოდება, დაბეჭდილი, ფოსტით მივიღეთ. რედაქც.

განცხადებანი

ახლად კურს დამთავრებული
ტფილისის ქალაქის საპროფესიონალო სასწავლებელში, კისრულობს ასწავლოს
ჭრა-კერვა
სუფთა ხელ-საქმე და ამზადებს ატესტატზედ. ქუთაისი, ივანოვის ქ., ექ. ჯანგავაძის სახ.
მ. ყიფიანისა. (15—389—15)

კბილებს
ვიღებ, პლომბას ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხვედი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—7)

ქუთაისში
სამ. ბ. თიკუურიას **სამკურნალო,**
რომელიც იმყოფება **მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ,** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

წელიწადი მეორე საყმაწვილო ჟურნალი **წელიწად**
„ნაკადული"
სურათებით
მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის
გამოვა თვეში ორჯელ სამ წიგნად ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

ჟურნალში მონაწილეობას იღებენ ჩვენი მწერლობის საუკეთესო მოღვაწენი.
წელიწადი ითვლება ნოემბრიდან ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი:
ერთად ორივე გამოცემა წელიწადში 5 მან., ცალ-ცალკე სამ-სამი მან., ნახევარ წლით ერთად 2 მან. 50 კაპ., ცალ-ცალკე 1 მან. 50 კაპ., თვეში 40 კაპ. ცალკე ნომერი მცირე წლოვანთათვის 15 კაპ., მოზრდილთათვის 25 კაპ.
წლიურ ხელის მომწერთ შეუძლიანთ თვეში თითო მანეთი შემოიტანონ.

ხელის მოწერა შეიძლება: რედაქციაში და „წ. კ. გ. საზოგადოების" კანცელარიაში. და მ. ი. დემურიას სახლში ალექს. № 5. ქალაქ გარეთ ჩვენს აგენტებთან **ბაქოში:** ანეტა ყვანიასთან და ნ. დეკანოზიშვილთან; **ქუთაისში:** „კოლხიდის" საზოგადოებაში, კნ. ბარბარე წერეთლისას და ანნა დადეშქელიანთან; **ბათუმში:** მარიამ ელიავასთან, კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და იასე რაჭველთან; **სუხუმში:** კნ. ტერეზია შერვაშიძესთან და ნიკო თავდგირიძესთან; **ახალციხეში:** სვიმონ ხვთისავარაშვილთან; **გორში:** თამარ და ნინო ლომაურებთან და კნ. ელენე ერისთავისას; **ფოთში:** იაკობ ფანცხავასთან და კნ. ვლადიმერ სვიმონის-ძე აბაშიძესთან; **ჭიათურაში:** ირაკლი დეკანოზოვთან; **სახხერეში:** ყარამან ჩხეიძესთან, ერევანში მარიამ ფლენიშვილთან.

რედაქცია იმყოფება ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალოვის სახლში № 8.
დასაბეჭდად გამოგზავნილი წერილები სუფთად და გარკვევით უნდა იყოს დაწერილი.
წერილები, რომელზედაც არ იქნება აღნიშნული სურვილი ჰონორარის მიღებისა, უსასყიდლოდ იქნება ჩათვლილი.
ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, Редакція НАКАДУЛИ.**
რედაქტორი **მარიამ ივანეს ასული დემურიასი.**
გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**
რედაქციაში პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10-დან 1 საათამდის. (5—უ.—5)

მასწავლებელთა საყურადღებოდ
დაიბეჭდა და იყიდება ე. ხრამელაშვილის მიერ ახლად შედგენილი
არითმეტიკული კრებული
პირველ დაწყებით სკოლებისათვის ნაწ. I. (მოქმედებათა შესწავლის მეთოდით).
ფასი ერთი აბაზი. ვინც 20 ცალს ერთად იყიდის, მანეთზე აბაზი დაეთმობა. საწყობი სოსიკო მერკვილაძესთან. ტფილისი, წიგნის მაღაზია „ცოდნა." (10—414—5)

ახლად დაბეჭდილი
სამზარეულო
ფასი 1 მან. 50 კაპ.
იყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა ჰსურს, მიჰმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (წლ.)

ტფილისის საკეპარქიო **სიონი ტაძრის** გვერდით არის საწყობი საეკლესიო ყოველ გვარ ნივთეულობათა, სადაც ყველა ნივთეულობა ისყიდება იაფად, თითქმის ქარხანათა ფასებით. იქ ისყიდება: ხატები, ჯვრები, ბაუშაყები (ხორუგვი), შანდლები, შვიდ სასანთლები, კანდელები, ფარჩეულობა და მზად შეკერილი შესამოსელნი სამღვდლო და სადიაკვნო. შეკვეთითაც შეიძლება შეიკეროს საჩქაროდ და იაფად შესამოსელი დაწყებული 14 მან. ვიდრე 150 მანეთამდის სანთლის ქარხანაშიაც შეიძლება შეკვეთა და საწყობშიაც. (0—31)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კაპ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა პაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელო, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	—
II და III ტომი თითო	1	—
ილ. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნად	—	80
სოფლის კუნძულ, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიხ სენკევიჩისა	—	85

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ.ამხ."-სა. ვანქის დიდი ქუჩა. ტელეფონი № 372.